ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 10 იანვარი, 2018 | №7 (7552) | ფასი: 50 თეთრი

ჯერ მოკლა, შემდეგ კი მტკვარში გადააგდო – დავით ტორიაშვილის მკვლელობისთვის 6 კაცი დააკავეს

გვ.7

9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

პანკისში 24 წლის ზურაბ იდოიძე ჩატაევის გადმოყვანაში ხელის შეწყობისთვის დააკავეს

ხეობაში ამბობენ, რომ იდოიძე 2 კვირის წინ დაბრუნდა ავსტრიიდან, ცოლ-შვილი კი კანადაში ჰყავს

გვ.2

„უკრაინაში მყოფი ქართველი სამხედროების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება“

ტრისტან წითელაშვილი: „მათ მოშორებას სააკაშვილიც შეეცდება და პოროშენკოც“

გვ.3

მამუკა კაციტაძე: „ქართულ პოლიტიკაში შუა კი არა, საერთოდ პოლიტიკა გაიკრიფა“

გვ.2

„ქართულმა ოცნებამ“ ჯოხი რომ დაარჭოს და თქვას, ეს უნდა გახდეს პრეზიდენტიო, ის გახდება პრეზიდენტი“

დავით ლორთქიფანიძე: „სამართლიანობის აღდგენა იმიტომ გვიანდება, რომ სამართალი ურმით დადის“

გვ.4

გვ.3

გია გაჩეჩილაძე: „მაღლობა აუდიტის სამსახურს, რადგან იმაზე უარესი დასკვნა დადო, ვიდრე ჩვენ ვამბობდით“

„დღეისთვის კრიპტოვალუტის 400-ზე მეტი სახეობა არსებობს“

გვ.5

სამართალი გვ.7

ყალბი ერთლარიანი მონეტების დამზადება-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

ადვოკატი ეკა მაჭარაშვილი: „ხორავას ქუჩაზე კიდევ ერთი პირია დაჭრილი“

სახალხო დამცველმა ოთარ აბესაძის საქმის შესწავლა დაიწყო

ეკონომიკა გვ.6

„მაგთი“ და „ჯეოსელი“ ათ წელზე მეტია, ტარიფებზე შეთანხმებული იყვნენ“

აუდიტი: „შსს-ს თანამშრომლებისთვის ბინის დაქირავების ხარჯი 3 წელიწადში 120%-ით გაიზარდა“

ბანკებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემაზე მომხმარებლის ინფორმირება დაევალებათ

ISSN 1987-9385

5 „მაისში გახსნილი სპორტული კომპლექსი თავიდან არის სარეაბილიტაციო“

6 რა უჯდება მოსახლეობას 112-ის შენახვა

2 სემეკმა გორის მოსახლეობის განცხადებების ინდივიდუალური შესწავლა დაიწყო

8 რუსეთი და ჩინეთი ამერიკის წინააღმდეგ ერთიანდებიან

მამუკა კაციტაძე: „ქართულ პოლიტიკაში შუა კი არა, საერთოდ პოლიტიკა გაიკრიფა“

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე **მამუკა კაციტაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრობს.

– ბატონო მამუკა, საპრეზიდენტო არჩევნებზე მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით, იქნება მნიშვნელოვანი პოლიტიკური ბრძოლა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ამ არჩევნებზე? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ კონსტიტუციით პრეზიდენტის უფლებამოსილება მკვეთრად არის შეკვეცილი.

– მიუხედავად იმისა, რომ, კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის უფლება-მოსილება მნიშვნელოვნად შეიკვეცა და ეს ინსტიტუცია სიმბოლური დატვირთვის გახდა, ეს მაინც ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებია, მაინც ქვეყნის პირველი პირის არჩევნებია და აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბოლო საყოველთაო არჩევნებით ავირჩევთ ქვეყნის პრეზიდენტს. ყოველივე ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ძალიან ზერელე დამოკიდებულება ამ არჩევნების მიმართ სწორი არ იქნება არც პოლიტიკურად და არც სახელმწიფოებრივად. ქვეყანაში პრეზიდენტის არჩევნები მეათეხარისხოვნად არ უნდა ითვლებოდეს. ვფიქრობ, არც საქართველოში იქნება ასე.

რეალურად მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი გარემო რომ შექმნილიყო, ამისთვის საჭირო იქნებოდა მაქსიმალური კონსოლიდაცია ოპოზიციურ ძალებს შორის ზეპარტიული კანდიდატის გარშემო.

– ფიქრობთ, ეს გამორიცხულია?

– თუ გავითვალისწინებთ ადგილობრივი არჩევნების გამოცდილებას, თუნდაც თბილისში მერის არჩევნებს, უცხო არ იქნება არც თქვენთვის და არც თქვენი მკითხველისთვის, რომ ეს თითქმის შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად შეიძლებოდა კონკურენციის მსგავსი რამ დაფიქსირებულიყო „ქართული ოცნების“ კანდიდატსა და სხვა კანდიდატს შორის. თუმცა, პრინციპში, გამორიცხულია, ამ თვალსაზრისით ოპოზიციამ საერთო ენა მოძებნოს. კვლავ იქნება რამდენიმე კანდიდატი, კვლავ იქნება საპატიო მე-2, მე-3 და მე-5 ადგილისთვის ბრძოლა. ეს, ცხადია, ელექტორატის სერიოზულ დაქსაქსვას გამოიწვევს, რაც საკმაოდ დააკნინებს კონკურენტულ გარემოს. მოხდება იგივე, რაც ბოლო არჩევნებზე მოხდა. ვინ გავიდა მეორე ადგილზე 15%-ით, ეს, წესით, არაფერს უნდა ნიშნავდეს, როდესაც პირველ ადგილზე გასული კანდიდატი პირველივე ტურში 55%-ს იღებს. აქედან გამომდინარე, საპრეზიდენტო არჩევნებზე ოპოზიციურ და სახელისუფლებო კანდიდატებს შორის მოგება-წაგებაზე საუბარი არ დადგება.

– ვინც არ უნდა იყოს კანდიდატი? თუმცა, ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ კვლავ არ გამორიცხავს, მისი კანდიდატი კვირიკა შვილი იყოს.

– ყველა პარტიამ თავად უნდა იფიქროს, ვის დაასახელებს კანდიდატად, მაგრამ, შედეგის თვალსაზრისით, შემიძლია ცნობილი გამოთქმა მოვიშველიო: „ქართულმა ოცნებამ“ ჯოხი რომ დაარჭოს და თქვას, ეს უნდა გახდეს პრეზიდენტიო, ის გახდება პრეზიდენტი. ამას არ უნდა ვამბობდე, როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში შუა კი არა, საერთოდ პოლიტიკა გაიკრიფა. პარტიები გაიკრიფა. სამწუხაროდ, დღეს ეს მოცემულობაა. აქედან გამომდინარე, კლასიკურ მოდელებზე, პოლიტიკურ ბრძოლაზე, მოგება-წაგებაზე, კონკურენციაზე საუბარი ზედმეტი მგონია, უბრალოდ, უადგილოა. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამის ართქმითა და დამალვით სიტუაცია შეიცვლება, ღრმად ვარ დარწმუნებული, არ შეიცვლება. ჯობია ითქვას ცხადად და ნათლად, თუ რა პოლიტიკურ მოცემულობაში გვიწევს არსებობა.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ მხრიდან კონკრეტული კანდიდატის დასახელებას, თუ ვინ შეიძლება იყოს ეს კანდიდატი, ერთს გეტყოდით, რადგანაც პრეზიდენტი ნომინალური უფლებამოსილებით იქნება შემოფარგლული, ალბათ უფრო რიტალური, საზეიმო კანდიდატი აჯობებდა ყოფილიყო დასახელებული, რადგანაც „ქართულ ოცნებას“ მაინცდამაინც კარგად არ აქვს კადრების თვალსაზრისით საქმე. თუ ვინმე ნორმალური, კარგი კანდიდატურა გამოძებნეს და ის დაიხარჯა პრეზიდენტობისთვის, მაშინ უფრო ქმედით პოზიციას დააკლდება ეს ენერგია. თუმცა, ეს მხოლოდ მათი საქმეა.

– „ქართული ოცნება“ მეორე საარჩევნო ციკლს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებით დაასრულებს, ვინც არ უნდა იყოს კანდიდატი?

– დიახ. საპრეზიდენტო არჩევნები „ქართულ ოცნებას“ პირველად ხომ არ მოუგია, მოქმედი პრეზიდენტიც „ქართული ოცნების“ კანდიდატი იყო თავის დროზე. დღემდე ყველა არჩევნები „ქართულ ოცნებას“ მოგებული აქვს, მეორე წრესაც, დიახ, საპრეზიდენტო არჩევნების მოგებით დაასრულებს. რაოდენ არასასიამოვნოც არ უნდა იყოს ამის თქმა ჩემთვის, ვამბობ იმას, რაც არის სიმართლე და რეალობა. „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებს ზედმეტი თავისტკივილის გარეშე მოიგებს მკვდარი პოლიტიკური სიტუაციის, მკვეთრი უპირატესობის, ბევრი რესურსისა და, რაც მთავარია, ქართველი ხალხის არჩევანის გამო. შეიძლება 5-10% გააყალბო, მაგრამ მასობრივი შედეგი რაც დგება, ეს არის გაყალბების შედეგი.

– ბატონო მამუკა, ახალი, ძლიერი ფიგურის გამოჩენას გამორიცხავთ, რომელიც ერთგვარ დისონანსს შეიტანს?

– ძლიერმა ფიგურამ ობიექტურად უნდა შეაფასოს პოლიტიკური მოცემულობა და პოლიტიკური თვალსაზრისით უმაღლესი მნიშვნელობის არჩევნები. თუკი ვინმე ძლიერი პოლიტიკური ფიგურა არსებობს და აპირებს პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენას, ის საპრეზიდენტო არჩევნებზე არ უნდა გამოჩნდეს, ჩემი აზრით.

– რატომ?

– რადგანაც დღეს ქვეყანაში მთავარი პოლიტიკური არჩევნები საპარლამენტო არჩევნებია, რომელიც აკომპლექტებს პარლამენტს და შემდეგ ქმნის მთავრობას. არც ადგილობრივი და არც საპრეზიდენტო არჩევნები არ არის ძლიერი პოლიტიკური ფიგურის წარმოჩენის არეალი. ამიტომ, თუკი არსებობს ძლიერი პოლიტიკური ფიგურა ძლიერი რესურსებით, უპირველეს ყოვლისა, ძლიერ ფინანსურ რესურსს ვგულისხმობ, მე მას ვურჩევდი, თავი 2020 წლისთვის ანუ საპარლამენტო არჩევნებისთვის შეინახოს.

პანკისში 24 წლის ზურაბ იდოიძე ჩატაევის გადმოყვანაში ხელის შეწყობისთვის დააკავეს

ხეობაში ამბობენ, რომ იდოიძე 2 კვირის წინ დაბრუნდა ავსტრიიდან, ცოლ-შვილი კი კანადაში ჰყავს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში ჩატაევიადა გრძელდება – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გუშინ, 9 იანვარს, პანკისში კიდევ ერთი სპეცოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც ახმეტის რაიონის სოფელ ომალოში მცხოვრები ზურაბ იდოიძე დააკავა. ძალოვნების მტკიცებით, ახმედ ჩატაევის საქართველოში ჩამოყვანაში იდოიძეც მონაწილეობდა.

26 დეკემბრის სპეცოპერაციისგან განსხვავებით, ეს დაკავება მშვიდობიანად განხორციელდა. სროლა და დაჭრა არ ყოფილა.

ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით სუსმა საგანგებო განცხადება გაავრცელა.

– გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ დაკავებული ზურაბ იდოიძე, ზურაბ გორნაკაშვილთან ერთად, ჩავიდა თურქეთის ქალაქ ხოფაში ახმედ ჩატაევისა და მისი დაჯგუფების წევრების დასახმარებლად. დაკავებულმა ზურაბ გორნაკაშვილთან ერთად ახმედ ჩატაევი და მისი დაჯგუფების წევრები ხოფაში მათი დროებითი საცხოვრებელი ბინიდან მანქანით მიიყვანა თურქეთ-საქართველოს საზღვართან, კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლის მონაკვეთამდე.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 331-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რომელიც ტერორიზმის დაფინანსებას, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარ მატერიალურ მხარდაჭერას ან რესურსებით უზრუნველყოფას გულისხმობს, რომელმაც მძიმე შედეგი გამოიწვია და სასჯელის ზომად 17-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – ნათქვამია განცხადებაში.

ომალოში ჩატაევის გადმოყვანასთან იდოიძის კავშირს უარყოფენ. როგორც ადგილობრივები მედიასთან საუბარში ამბობენ, იდოიძეს ცოლ-შვილი კანადაში ჰყავს, თავად კი ავსტრიიდან 2 კვირის წინ დაბრუნდა საქართველოში. დაკავებული იდოიძე 24 წლისაა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას ადგილობრივმა ცაროს ბექაურმა განაცხადა, 24 წლის ახალგაზრდას ტერორისტებთან კავშირი არ აქვს და ახმედ ჩატაევის დახმარების ბრალდებით მისი დაკავება არასამართლიანია.

– ეს ბიჭი თუშია, მაგრამ დედა აქაური ჰყავს. ალბათ ორი კვირაა, რაც ხეობაში დაბრუნდა ავსტრიიდან. როგორც ვიცი, იქ ბიძასთან იყო სტუმრად. ცოლ-შვილი კანადაში ჰყავს და რამდენიმე დღეში იქ აპირებდა წასვლას, დღეს კი დაკავებამდე მამასთან ერთად თბილისში მიდიოდა, როდესაც ახმეტაში დააკავეს. მამას გიორგი ჰქვია. ის მოიყვანეს სოფელში და სახლი გაჩხრიკეს. კომპიუტერი წაიღესო, ასე თქვეს. გვეშინია უკვე, ყოველდღე ველოდებით, რომ ხან იქ მივლენ, ხან იქ. ასე როგორ შეიძლება?! – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ცარო ბექაურმა.

* * *

26 დეკემბრის სპეცოპერაციის დროს დაჭრილი 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილის მდგომარეობა ისევ მძიმეა. მიუხედავად იმისა, რომ მის მისაღებად რამდენიმე უცხოური კლინიკა მზადაა, დაჭრილი ისევ წმინდა მიქაელის სახელობის საავადმყოფოში რჩება.

დაჭრილის დის, ნატა მაჩალიკაშვილის, განცხადებით, თურქეთის კლინიკას მზად ჰყავს რეანიმაციული თვითმფრინავი.

– თვითმფრინავი მზადაა, რომ ჩამოვიდეს და თემირლანი წაიყვანოს, მაგრამ ამათ არ აწყობთ, – ამბობს ნატა მაჩალიკაშვილი.

თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახი ტრანსპორტირების დაფინანსებასაც მოითხოვს.

– მოვითხოვთ, რომ თურქეთიდან ჩამოიყვანონ ის რეანიმაციული თვითმფრინავი და მაგით წაიყვანონ ჩემი ძმა. გვინდა, დააფინანსონ ტრანსპორტირებაც, როგორც მკურნალობას აფინანსებენ, ახლა თქვეს, მკურნალობას დავაფინანსებთო, – განაცხადა დაჭრილის დამ.

წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის კლინიკის დირექტორის განცხადებით კი თურქეთში გადაყვანის პროცედურა გარკვეულ დროს მოითხოვს.

ზურაბ უტიაშვილი ამბობს, რომ მოლაპარაკებებში კლინიკა ნაკლებადაა ჩართული.

დაჭრილის დედა მედიკო მარგოშვილი კი ხელისუფლებისგან განმარტებებს ითხოვს. მისი ინფორმაციით, თბილისში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული და ლიკვიდირებული პირები 2 წლის განმავლობაში თავისუფლად ჩადიოდნენ პანკისის ხეობაში.

– იმ ბიჭებს მეც ვიცნობდი. მაშინ ჩემთვისაც გაეხვრიტათ შუბლი. მე მთავრობისგან ვითხოვ, თუ ასეთი დამნაშავეები არიან, მთელი ორი წლის განმავლობაში თავისუფლად რატომ დაიარებიან თბილისსა და ხეობაში. მე იმათგან ვითხოვ პასუხს! – განაცხადა მედიკო მარგოშვილმა.

სემეკმა გორის მოსახლეობის განცხადებების ინდივიდუალური შესწავლა დაიწყო

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ გორის მოსახლეობის განცხადებების ინდივიდუალური შესწავლა დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სემეკიდან აცნობეს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (სემეკ) შევიდა ქ. გორის მოსახლეობის განცხადებები, სს „საქორგაზის“ მიერ 2017 წლის დეკემბერში განხორციელებულ დარიცხვებთან დაკავშირებით. კომისიას დაწყებული აქვს თითოეული განცხადების ინდივიდუალური შესწავლა, რის შედეგადაც დადგინდება, თუ რამ განაპირობა გაზრდილი გადასახადების აბონენტებზე დარიცხვა.

კომისიაში საკითხის მოკვლევა მიმდინარეობს მიმდინარე წლის 3 იანვრიდან. 5 იანვარს კომისიის წარმომადგენლები ენერგოომბუდსმენთან ერთად იმყოფებოდნენ ქ. გორში და ადგილზე გაეცნენ არსებულ მდგომარეობას.

კომისია მოუწოდებს ყველა მომხმარებელს, თუ ენერგეტიკის სექტორში მოქმედი კომპანიების მხრიდან არ ეთანხმებიან განხორციელებულ დარიცხვებს, საკითხის შესწავლის მიზნით, მომართონ კომისიას ან ენერგოომბუდსმენის სამსახურს. ასევე, კონსულტაციების გავლა შესაძლებელია კომისიის ქოლ-ცენტრში ნომერზე 16 216 და სოციალურ ქსელში არსებულ კომისიის გვერდზე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„უკრაინაში მყოფი ქართველი სამხედროების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება“

ტრისტან წითელაშვილი: „მათ მოშორებას სააკაშვილიც შეეცდება და პოროშენკოც“

შორენა მარსაგიშვილი

რა საიდუმლო ინფორმაციებს ფლობენ უკრაინაში მყოფი ქართველი სამხედროები, ვინ და რატომ ნადირობს მათზე, ვინ დაიცავს მათ უფლებებს და რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამხედრო ექსპერტი **ტრისტან წითელაშვილი** ესაუბრება.

– თქვენ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ თქვით, რომ უკრაინაში მებრძოლ ქართველებს პრობლემები შეექმნებოდათ. გასული წლის ბოლოს „ქართულმა ლეგიონმა“ საომარ მოქმედებებში მონაწილეობაზე უარი თქვა. მისი მეთაური მამუკა მამულაშვილი ამბობს, რომ უკრაინაში მყოფ ქართველ სამხედროებს დეპორტაციით ემუქრებიან. თქვენი ინფორმაციით, რა ხდება ქართველი სამხედროების თავს?

– რამდენიმე თვის წინ მე მართლაც ვთქვი, რომ უკრაინაში მებრძოლ ქართველ სამხედროებს პრობლემები შეექმნებოდათ. ეს ყველაფერი სააკაშვილისა და პოროშენკოს დაპირისპირებასთან არის დაკავშირებული.

დღეისთვის უკრაინაში რამდენიმე ასეული ქართველი სამხედროა. მათი ნაწილი სააკაშვილს თავად გაჰყვა, ნაწილი კი ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა იქ მოტყუებით ჩაიყვანა.

– მოტყუებით ჩაყვანაში რას გულისხმობთ?

– სააკაშვილმა ისინი დააჯერა, რომ ის პროცესები, რომლებიც მაშინ უკრაინაში მიმდინარეობდა, საქართველოზე დადებითად აისახებოდა. საუბარია იანუკოვიჩის წინააღმდეგ მიმდინარე აქციებზე – მაიდანზე. სააკაშვილი აქედან წაყვანილებს ეუბნებოდა, რომ უკრაინაში გამარჯვების შემდეგ ისინი ძალაუფლებას საქართველოშიც დაიბრუნებდნენ.

რამდენიმე ათეული ქართველი სამხედრო იქ რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩავიდა. ამ ბიჭებს სჯეროდათ, რომ რუსებზე შურს იძიებდნენ იმისთვის, რაც მათმა ხელისუფლებამ საქართველოს დაუშავა. იქ ამ ბიჭებს სულ სხვა სურათი დახვდათ.

უკრაინაში რამდენიმე ქართული დაჯგუფება მოქმედებს. მათ შორის არის გიგი კალანდაძის, ბაჩო კიკაბიძისა და მამუკა მამულაშვილის ჯგუფები. ისინი სააკაშვილის გარემოცვას წარმოადგენდნენ და მის უკანონო ბრძანებებს ასრულებდნენ.

გასულ წელს სააკაშვილი სერიოზულად დაუპირისპირდა პოროშენკოს. უკრაინის პრეზიდენტმა მისი დასუსტება გადაწყვიტა. პირველ ეტაპზე მის გარემოცვას შეუქმნა პრობლემები. სწორედ ამიტომ მიმდინარეობს ქართველი სამხედროების შევიწროება.

– „ქართულ ლეგიონს“ რას ერჩიან? ამბობდნენ, რომ მამუკა მამულაშვილი თავის მებრძოლებთან ერთად სააკაშვილს გაემიჯნა.

– მამუკა მამულაშვილის ქმედებებს აქტიურად ვადევნებ თვალს და მან რამდენჯერმე გააკეთა ისეთი განცხადება, თითქოს სააკაშვილთან არის დაპირისპირებული.

ამ დღეებში ჩემს უკრაინელ კოლეგებს ვესაუბრე და ვიკითხე, თუ რატომ აპირებენ „ქართული ლეგიონის“ მებრძოლების საქართველოში დეპორტაციას. როგორც მათ მითხრეს, უკრაინის სპეცსამსახურებმა მამულაშვილი გამოიჭირეს. იქაურმა უშიშროებამ არ დაიჯერა მისი ოდესის ექსგუბერნატორთან დაპირისპირების ამბავი და იმ ადამიანების მიმართ დაიწყეს ოპერატიული მუშაობა, რომლებიც სააკაშვილს ღიად აღარ უჭერდნენ მხარს.

აღმოჩნდა, რომ ამ ხალხს ერთმანეთში ფარული, მაგრამ ძალიან მჭიდრო კავშირები აქვს. საუბარია სააკაშვილზე, მამულაშვილზე, კალანდაძესა და კიკაბიძეზე.

უკრაინის სპეცსამსახურებმა ისიც დააფიქსირეს, თუ სად ხვდებოდა ეს ხალხი ერთმანეთს. მათი ფარული შეხვედრების ადგილი იყო ქართული რესტორანი „ლაზიკა“. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ეს რესტორანი გიგი კალანდაძესა და ბაჩო კიკაბიძეს ეკუთვნის. მათ იქ დიდი ფული იშოვეს და ამით გახსნეს „ლაზიკა“.

იქ გამართული საიდუმლო შეხვედრები უკრაინის უშიშროებას არ გამოეპარა და ახლა ქართველი სამხედროების ეტაპობრივი გამოძევება დაიწყო. ჩვენი მებრძოლების ნაწილი უკვე დეპორტირებულია. ახლა მათი დეპორტაციის მეოთხე ტალღა დაიწყო. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

– სადამდე გაგრძელდება, ვიდრე ბოლო ქართველ სამხედროს არ გამოაძევებენ?

– პროცესები მანამდე გაგრძელდება, სანამ პოროშენკო სააკაშვილს გარემოცვას სრულად არ მოაშორებს.

ყოფილ პრეზიდენტს იქ ძალიან ცუდად აქვს საქმე. პირდაპირ გეტყვით, რომ კიევში საქართველოდან ჩასულია ჯგუფი, რომელიც სააკაშვილზე მუშაობს.

– სააკაშვილზე მუშაობაში რას გულისხმობთ?

– ესენი არიან სპეცსამსახურების წარმომადგენლები. ისინი უკრაინაში სააკაშვილსა და მის გარემოცვაზე ოპერატიულ ინფორმაციებს აგროვებენ.

– რა აზრი აქვს ოპერატიული ინფორმაციის მოგროვებას? მის ექსტრადირებას არავინ აპირებს.

– მთლად ასე არ არის საქმე. უკრაინიდან მომივიდა დადასტურებული ინფორმაცია. რომ სააკაშვილს აუცილებლად დააპატიმრებენ და მას საქართველოს გადმოსცემენ. მის წამოსაყვანად სპეციალური ჯგუფია ჩასული უკრაინაში.

სააკაშვილი მართლა დასაჭერია, მაგრამ

ქართველი სამხედროების მიმართ ხელისუფლებამ განსხვავებული მიდგომა უნდა შეიმუშაოს. კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ამ ბიჭების დაპატიმრებას.

ისინი არიან სამხედროები, სამშობლოს დაცვასა და ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში სერიოზული წვლილი მიუძღვით. უკრაინაშიც იმიტომ წავიდნენ, რომ რუსების წინააღმდეგ ეომათ და საქართველოს მტერი დაესუსტებინათ.

ამიტომ მოვუწოდებ საქართველოს ხელისუფლებას, უკრაინიდან დეპორტირებული სამხედროების მიმართ განსხვავებული პოზიცია დაიკავოს. კალანდაძესა და კიკაბიძეზე თავს არ გამოვიდებ. როგორც ვატყობ, ისინი სააკაშვილს პოლიტიკურ საფლავში მიჰყვებიან.

კარგი იქნება, თუ ჩვენი ხელისუფლება უკრაინიდან დეპორტირებულ ბიჭებს სადმე დაასაქმებს. ამით სერიოზულ პრობლემებს ავირიდებთ.

– რა პრობლემებს?

– ეს ნაომარი და გამოცდილი ხალხია. შესაძლოა, ბნელმა ძალებმა მათი გადაბირება ცადონ. ჩემი აზრით, ისინი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში უნდა დასაქმდნენ.

– ისინი მოისურვებენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურს?

– რა თქმა უნდა, მოისურვებენ. ჩვენ დაკარგი ქართველები და სამხედროები არ გვყავს. ყველა მათგანი უნდა დაასაქმონ. მათი დევნა კატეგორიულად დაუშვებელია.

– არის იმის წინაპირობა, რომ მათი დევნა დაიწყოს?

– გამორიცხული არაფერი არ არის. ამ თემაზე უკვე გვქონდა სამხედრო ექსპერტებს საუბარი. უკრაინიდან დეპორტირებული ბიჭების წინააღმდეგ თუ სამართლებრივი დევნა დაიწყება, მათ ყველანაირად გვერდში დავუდგებით. ისინი უკრაინიდან გამოდევნეს და არ დავუშვებთ, რომ აქაც დევნილებად იქცნენ.

საქართველოს აქვს თარხან ბათირაშვილის მაგალითი. ეს ადამიანი იყო სერიოზული სამხედრო. ის საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან გარიცხეს. ბევრი მცდელობის მიუხედავად, თავი ვერ აღიდგინა. ამის შემდეგ სირიაში წავიდა, სადაც უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა. მას ძალიან ბევრი პანკისელი ახალგაზრდა გაჰყვა იქ.

ასეთი რამეები აღარ უნდა განმეორდეს. საქართველოს დასაკარგი სამხედროები არ ჰყავს.

– ის მაინც თუ ვიცით, ზუსტად რამდენი ქართველი სამხედროა დღეს უკრაინაში?

– ეს აღრიცხვიანობა მაქვს. მაიდანის პერიოდიდან მოყოლებული, დღემდე უკრაინაში 270-მდე სამხედრო მოსამსახურე ჩავიდა. მათ მოხალისეებიც დაემატნენ. ისინი იქ ფინანსური ინტერესების გამო ჩავიდნენ. ახლა ეს ადამიანები მიმოიფანტნენ. აშკარაა, რომ უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ დიდად აღარ აქტიურობს. ამის მიზეზები ექსპერტებმა უნდა შეისწავლონ.

დღეს უკრაინაში, „ქართული ლეგიონის“ გარდა, ქართველების ერთი ასეულია დარჩენილი. ისინი სხვადასხვა ქვედანაყოფში არიან გადანაწილებული. უკრაინის ხელისუფლებას მათი სია აქვს და იქ დეტალურად უწერიათ, თუ ვის და როდის გამოაგზავნიან საქართველოში.

იმედი მაქვს, მათი სამშობლოში დაბრუნება მშვიდობიანად მოხდება. იქიდან ძალიან ცუდი ინფორმაციები მომდის.

– რა ინფორმაციები, მათ რამე საფრთხე ემუქრებათ?

– სამწუხაროდ, დღეს მათი სიცოცხლე საფრთხეშია. უკრაინაში რამდენიმე ქართველი უკვე მოკლეს. მეშინია, სხვებმაც არ გაიზიარონ მათი ბედი.

– ვისგან ემუქრებათ მათ საფრთხე?

– საფრთხე რამდენიმე მხრიდან ემუქრებათ. საომარ მოქმედებებში თავისთავად არის საფრთხე. ყველაზე სერიოზული საფრთხე სააკაშვილისა და პოროშენკოსგან ელოდებათ. თავის დროზე ისინი ერთად იყვნენ და ჩვენი სამხედროები მათ უკანონო ბრძანებებს ასრულებდნენ.

ყველამ არა, მაგრამ სამხედროების ნაწილმა ბევრი საიდუმლო ინფორმაცია იცის, რომლის გაჟღერება არც სააკაშვილს აწყობს და არც პოროშენკოს. მათ სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება. საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეები დაიცვას როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

გია გაჩეჩილაძე: „მაღლობა აუდიტის სამსახურს, რადგან იმაზე უარესი დასკვნა დაღო, ვიდრე ჩვენ ვამბობდით“

– ერთისა და იმავე ადამიანების ჯიბეებში ნაწილდება სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები და სხვა ადამიანები რჩებიან მშივრები და გაძვალტყავებულები. ამის გაგრძელება აღარ შეიძლება.

ამის შესახებ გია გაჩეჩილაძემ (უცნობმა) გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– ძალიან დიდი იმედი იმის, რომ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან დაიდებოდა ობიექტური დასკვნა, მე, პირადად, არ მქონდა. მინდა, მადლობა გადავუხადო აუდიტის სამსახურს, რადგან იმაზე უარესი დასკვნა დადო, ვიდრე ჩვენ ვამბობდით. მე მიხარია, რომ დღეს ამ ქვეყანაში კიდევ შეიძლება სიმართლის პოვნა, თუ, რა თქმა უნდა, ეს სიმართლე გამყარებული იქნება ნამდვილად იმ ფაქტებითა და გარემოებებით, რომლებიც ჩვენ წარვადგინეთ. აუდიტის სამსახური იყო პირველი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელმაც ჩვენი განცხადებები გაამყარა და შემდეგი ალბათ იქნება კონკურენციის სააგენტო. ალბათ, ნოდარ ხადურის უწყებაც დადებს ანალოგიურ დასკვნას,

სიმართლე ერთია, ის ჩვენ მხარესაა და ეს, რომ სიმართლე არ ყოფილიყო, საჯარო განცხადებებს არ გავაკეთებდი. სახელმწიფოში არსებული მახინჯი ფორმები უნდა დამთავრდეს და მე ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი საშუალებაა, რომ ის აუტანელი პირობები, რაც დღეს არის სახელმწიფო შესყიდვებში, დამთავრდეს, – განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

მან არ იცის, თუ ვინ დგას ყველაფრის უკან, თუმცა ფაქტია, რომ სახელმწიფო სტრუქტურებიდან ამ ყველაფერში ჩართული არიან და მათ გარეშე შესყიდვების საკითხები ვერ გადაწყდებოდა.

– მე არ ვიცი, ვინ არიან კონკრეტული ადამიანები, ვინც ამ ყველაფერში ჩართულია, ეს ალბათ გამოძიების საქმეა. არაფერს გამოვრიცხავ, როგორც შეიძლება იყოს ზედა ეშელონებში სისტემური პრობლემა, ისე შეიძლება იყოს ქვედა ეშელონებშიც. მე ამის დასახელება არ მომერიდება, რომ ვიცოდე, ვინ დგას ამის უკან. მაგრამ თბილისში ალბათ ადამიანიც არ არის დარჩენილი, ვინც შეიძლება არ იცოდეს, თუ რა ხდება სახელმწიფო ტენდერებში.

ეს არ არის ყურით მოთრეული თემა. მე, უბრალოდ, ამას შევეჯახე, შევისწავლე და მივხვდი, რომ ამის გაგრძელება აღარ შეიძლება. ერთისა და იმავე ადამიანების ჯიბეებში ნაწილდება სახელმწიფო ბიუჯეტის თანხები, რომელიც ზედმეტობით გააქვთ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სხვა ადამიანები რჩებიან ისევ ისე მშივრები და გაძვალტყავებულები.

ეს თანხები უნდა გადანაწილდეს ხალხზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესყიდვებზე დადებული დასკვნა ადასტურებს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში სერიოზულად მოეკიდნენ ამ საკითხს და, იმედი მაქვს, ეს ყველაფერი გამოსწორდება, – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

კითხვაზე, ხმაურიანი განცხადებების შემდეგ მას გამოეხმაურა თუ არა ვინმე, გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ მას არავინ გამოხმაურებია და არც თავად უცდია ვინმესთან დაკავშირება.

ლადო ჭანტურია სტრასბურის სასამართლოში მოვალეობის შესრულებას შეუდგა

ლადო ჭანტურია სტრასბურის სასამართლოში საქართველოდან წარდგენილი მოსამართლის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ფიცის დადების ცერემონიალი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 8 იანვარს გაიმართა.

ღონისძიებას ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი, მოსამართლეები და სასამართლოს სამდივნოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ლადო ჭანტურიამ ამ პოსტზე ნონა წოწორია შეცვალა. სტრასბურის მოსამართლის მოვალეობას ის 9 წლის ვადით, 2018 წლის 8 იანვრიდან 2027 წლის 8 იანვრამდე შეასრულებს.

სტრასბურის მოსამართლის პოსტზე ლადო ჭანტურია ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 10 ოქტომბერს აირჩია. რეკომენდაცია მას ევროპის საბჭოს ასამბლეის სპეციალურმა კომიტეტმა გაუწია.

დავით ლორთქიფანიძე: „სამართლიანობის აღდგენა იმითომ გვიანდება, რომ სამართალი ურმით დადის“

გულიკო ბალაძე

მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი **დავით ლორთქიფანიძე** სააკაშვილისთვის პატიმრობის მისჯას სამართლიანობის აღდგენის ნაწილად მიიჩნევს.

– ბატონო დავით, რამდენიმე დღის წინ საქართველოს სასამართლომ სააკაშვილს 3 წლით პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, 3 წელი არ არის ის ვადა, როგორსაც ის უსჯიდა (20, 25 და 30 წელს) ზოგჯერ არჩადენილი დანაშაულისთვისაც კი, მაგრამ მის მომხრეებსა და ზოგიერთ არამომხრეებშიც უარყოფითი რეაქცია და დღევანდელი პრეზიდენტის გამოხმაურებაც გამოიწვია. თქვენ როგორ აფასებთ ამ ფაქტს, როგორ შეხვდით სააკაშვილის დამნაშავედ ცნობას?

– თავად ის ფაქტი, რომ მოსამართლე არევაძემ საქართველოს სახელით გადაწყვეტილება გამოიტანა და მიხეილ სააკაშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი, ეს ქართული მართლმსაჯულებისთვის უკვე წინგადადგმული ნაბიჯია. რამდენი წელი მიუსაჯა, რა დანაშაულისთვის, საკითხის მეორე მხარეა. კონკრეტულად, ამ შემთხვევაში სააკაშვილის მიმართ გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით გამამტყუნებელი განაჩენი გამოვიდა. სასამართლომ სააკაშვილს სამი წელი კი არა, ოთხი წელი მიუსაჯა, მაგრამ ამნისტია შეეხო, ერთი წელი მოაკლდა და სამი წელი დარჩა. თუ მიხეილ სააკაშვილი სასჯელს მოიხდის და პირნათელი იქნება ქართული სახელმწიფოსა და სახელმწიფოს წინაშე, მას შემდეგ წელიწადნახევარი საჯარო სამსახურში ყოფნა ეკრძალება.

– წელიწადნახევრით საჯარო სამსახურში ყოფნის აკრძალვა ცოტა არ არის? თვითონ სააკაშვილს რომ ჰქონოდა ამის შანსი, სამუდამოდ თუ არა, 10-15 წლით მაინც აუკრძალავდა ოპონენტებს პოლიტიკურ საქმიანობას.

– ეს არის მოსამართლის დისკრეცია. გადაწყვეტილება მოსამართლემ მიიღო. მეც იქით ვიხრები, ვფიქრობ, ბევრად მეტი წლით იმსახურებდა სააკაშვილი საჯარო სამსახურში ყოფნის აკრძალვას, მაგრამ რეალობა ეს არის და მას თვალი უნდა გავუსწოროთ.

– თქვენ „მოსამართლის დისკრეცია“ ახსენეთ. აჟიოტაჟია იმაზე, სააკაშვილს ექსკლუზიური უფლება ჰქონდა, შეეწყალებინა გარკვეული პირები, შეიწყალა და ამის გამო პატიმრობის მისჯა არასწორიაო.

– ძალიან მარტივად უნდა ავუხსნათ საზოგადოებას, რომ მიხეილ სააკაშვილი თავისი დისკრეციული უფლების გამოყენების გამო კი არ ცნო სასამართლომ დამნაშავედ, არამედ მან თავისი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა. მათ შორის ძალიან დიდი სხვაობაა. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი წინასწარ შეცნობით გაურიგდა „დამნაშავეებს“.

თუმცა, გარიგება მათთან არ მომხდარა. ეს ხდებოდა მაღალი თანამდებობის პირებთან, რომლებიც იყვნენ მერაბიშვილი, ახალაია და სხვები. აღნიშნული ფაქტები ყველასათვის ცნობილია, რომ სააკაშვილმა გარანტია მისცა ადამიანებს (გერონტი ალანიას, აფციაურს, ღაჭავასა და ბიბილურიძეს), რომ ვადაზე ადრე გათავისუფლდებოდნენ. მან ეს პირობა შეასრულა. სააკაშვილმა შეწყალების კომისიის გვერდის ავლით შეიწყალა ისინი, ჯერ სასჯელი შეუმცირა, გაუნახევრა, შემდეგ მათ შეეხო პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება და ისინი პატიმრობიდან გათავისუფლებული იქნენ. თუ სააკაშვილის აღნიშნული ქმედება არ არის წინასწარ შეცნობით, შეთანხმებით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება და არ წარმოადგენს მაღალი თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, მაშინ, საერთოდ, რა არის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება? ვფიქრობ, სააკაშვილის აღნიშნული ქმედება აბსოლუტურად სამართლებრივ ჩარჩოებშია.

– აღსანიშნავი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ გადაწყვეტილების გამო უკმაყოფილება გამოთქვა დღევანდელმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა. თქვენ აღნიშნეთ, რომ სააკაშვილმა გირგვლიანის მკვლელობის საქმეში ბრალდებულები პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიის გვერდის ავლით შეიწყალა. როგორც ჩანს, პრეზიდენტთან შეწყალების კომისიის არსებობა და ამ კომისიის მიერ მსჯავრდებულთა დოკუმენტაციის შესწავლა საჭირო არ არის. თუკი შეწყალება, როგორც პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლება, აბსოლუტური უფლებაა, მაშინ რაღა საჭიროა ე.წ. შეწყალების კომისია? ეს ინსტიტუტი გასაუქმებელი ყოფილა.

– პრეზიდენტთან შეწყალების კომისიის არსებობა ნამდვილად საჭიროა. აღნიშნული კომისია ინდივიდუალურად სწავლობს, პატიმრობამისჯილი ადამიანების საქმეებს. განვლილ პერიოდში მათ მიერ რეჟიმის დაცვის საკითხებს, ადმინისტრაცია როგორ ახასიათებს მათ და ა.შ., მაგრამ სააკაშვილმა ყველაფერი წინასწარ განზრახვითა და შეცნობით გააკეთა, როგორც ეს გამოძიებით ირკვევა. ეს დამალული არ არის, მთელმა საზოგადოებამ იცოდა. გადამწყვეტია ისიც, დაზარალებული მხარე არის თუ არა თანახმა მათ შეწყალებაზე. ხომ ყველასთვის ცხადია, რომ დაზარალებული მხარე არ იყო თანახმა მათ გათავისუფლებაზე. გირგვლიანის საქმეზე პატიმრობაში მყოფი ადამიანები კი მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის კეთილი ნების გამო გათავისუფლდნენ ვადაზე ადრე.

საზოგადოებამ ასევე კარგად იცის, რომ გირგვლიანის სასტიკი მკვლელობის საქმეზე დაპატიმრებული ადამიანები ასევე კანონის უხეში დარღვევით ერთ საკანში იყვნენ მოთავსებული. მათ ძალიან შეღავათიან პირობებში უწევდათ სასჯელის მოხდა. მათ გამო ციხის ადმინისტრაცია ფეხის წვერებზე იდგა. ეს ყველაფერი იმის გამო კეთდებოდა, რომ დაპატიმრებულები იყვნენ სისტემის დანაშაულებრივი, ჯალათური რეჟიმის შემსრულებლები. ამიტომ სააკაშვილი მათ ბოლომდე გვერდით დაუდგა და გაათავისუფლა, დანარჩენს (ვინ რას ამბობს) ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. საზოგადოებას, საბედნიეროდ, კარგი მეხსიერება აქვს და ვერ მოვატყუებთ. ქართულ საზოგადოებას ტყუილი არც უნდა ვკადროთ.

– პრეზიდენტ მარგველაშვილის სააკაშვილისთვის პატიმრობის მისჯის გამო გაკეთებულ განცხადებას რას მიაწერთ?

– პრეზიდენტი მარგველაშვილი პრეზიდენტის ინსტიტუტის დამცველად მოგვევლინა. არა მგონია, ის ამ გადაწყვეტილების ნიუანსებში ძალიან ღრმად ყოფილიყო ჩახედული. ნებისმიერი პრეზიდენტის მიმართ, რომელიც მიიღებს იმგვარ გადაწყვეტილებას, როგორიც სააკაშვილმა მიიღო, გატარებული იქნება სამართლებრივი ზომები, მაგრამ არა მგონია პრეზიდენტ მარგველაშვილს ამის მსგავსი რაიმე დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი. ვფიქრობ, ამ კუთხით მარგველაშვილს მართლმსაჯულებასთან რაიმე პრობლემა არ გაუჩნდება.

– თქვენ ახსენეთ ტერმინი „წინასწარი შეცნობით“, მარგველაშვილმაც „წინასწარი შეცნობით“ ხომ არ გააკეთა სააკაშვილის მხარდამჭერი განცხადება?

– არ ვიცი. როგორ არის ის ანდაზა თუ გამონათქვამი, ქურდზე რომ არის ნათქვამი.

– ქურდს კუდი ეწვისო?

– თუკი ვინმეს კუდის ასაწვავი ქმედება აქვს ჩადენილი, კუდი უნდა დაეწვას, ბუნებრივია. თუმცა, საზოგადოებისთვის არაფერია ცნობილი, რომ მარგველაშვილს მსგავსი რამ ჩაედნოს. მე მაინც ვფიქრობ, მარგველაშვილმა პრეზიდენტის ინსტიტუტის დასაცავი პოლიტიკური პოზიცია დააფიქსირა. ამ შემთხვევაში არავითარი პოლიტიკური ქვეტექსტი არ არსებობს. სახეზეა გამოძიებით დადასტურებული შემდგარი დანაშაული. აქედან გამომდინარე, ყოფილ პრეზიდენტს სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა.

– ნაციონალებმა ეკა ბესელიას განცხადების საპასუხოდ თქვეს, ჩვენც შეგვიძლია მისი ქმედებები გამოვიძიოთ იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტმა ჯაშუშები შეიწყალაო. შეიძლება ნაციონალებს ერთმანეთში არ ერევათ კოლექტიური და ერთპიროვნული გადაწყვეტილება, მაგრამ რადგან შანსი მიეცათ, ალბათ, მაინც მე-8 მოწვევის პარლამენტის მაშინდელ გადაწყვეტილებაში ეჭვის შეტანა უნდოდათ. როგორ ფიქრობთ, მე-8 მოწვევის პარლამენტის გადაწყვეტილების რევიზია შესაძლებელია?

– ჩემი აზრით, არასოდეს არანაირი ეჭვის საფუძველი არ იქნება. პოლიტიკურად გაკოტრებული ძალების წარმომადგენლები ძალიან საინტერესოდ იქცევიან. ნაციონალები, ერთი მხრივ, ყოველმხრივ ებრძვიან იმ გადაწყვეტილებას, რომელიც პოლიტპატიმრების მიმართ პარლამენტმა მიიღო, მეორე მხრივ, ძალიან კარგად იყენებენ ამნისტიის კანონს საპატიმრო ვადის შესამცირებლად.

წინა რეჟიმის წარმომადგენლებიდან ვისაც მიესაჯა სასჯელი, ყველას მიმართ იქნა გამოყენებული 1\4-ით ვადის შემცირება. მათ არ უთქვამთ, ამნისტია უკანონოა და არ გვინდა ჩვენ შეგვეხოსო. ამ შემთხვევაშიც სააკაშვილს მაგის გამო მოაკლდა სასჯელის ვადა. თუკი რამ აქვთ, ფაქტობრივი მასალები, ან რაიმე დოკუმენტაცია, ტელევიზიებზე მათ ხელი მიუწვდებათ და უტყუარი დოკუმენტები დადონ, საზოგადოებას აჩვენონ, რა ბოროტება „ჩაიდინა“ იმ კომისიამ, რომელმაც ამნისტიციის კანონი მოამზადა. დარწმუნებული ვარ, ნაციონალებს არაფერი აქვთ წარმოსადგენი. ეკა ბესელიას მიმართ განცხადებები თემად აქვთ და ამით პოლიტიკურ არსებობას იხანგრძლივებენ.

– საზოგადოებაში ერთგვარი უკმაყოფილება გამოითქვა, სააკაშვილის ხელმძღვანელობით წინა რეჟიმმა უფრო დიდი დანაშაულობები ჩაიდინა და რატომ უფრო დიდ დანაშაულობებზე არ გასამართლდაო. ერთმა ისიც თქვა, 18 მილიარდი სად არისო. ალბათ გახსოვთ, რომ თქვეს, სააკაშვილმა და მისი რეჟიმის წარმომადგენლებმა საქართველოდან 18 მილიარდი გაიტანესო. არის თუ არა მოსალოდნელი, სააკაშვილს მომავალში ახალი ბრალდებები წაეყენოს და პატიმრობა მიესაჯოს?

– ჩვენ გონიერი ხალხი ვართ. არსებობს გამონათქვამი, სამართალი ურმით დადისო. ურმით მოსიარულე სამართალს სამართლიანობის აღდგენა ცოტა უგვიანდება, რადგან სამართლიანობის პროცესი მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება.

გამოხმაურება

„არ მინდა, ქართველებისა და ებრაელების მეგობრობას ჩრდილი მიადგეს“

მელორ ტყეშელაშვილის პასუხი „საერთაშორისო შეთქმულების“ ავტორებს

გაზეთ „ახალი თაობის“ 2017 წლის 20 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ებრაელი ბიზნესმენების მიმართვა ისრაელის და საქართველოს მთავრობებისადმი“, სადაც აღწერილია, თუ როგორ დაგეგმეს ქართველმა და ებრაელმა პარტნიორებმა საერთაშორისო შეთქმულება ვინმე ელბახარის წინააღმდეგ.

„მიმართვის“ ავტორი პირდაპირ არ აცხადებს, მაგრამ აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ „შეთქმულებაში“ საქართველოს და ისრაელის მთავრობებიც მონაწილეობდნენ.

საინტერესო და საეჭვოა ის ფაქტი, რომ „მიმართვის“ ავტორი არ გვიმხელს კომპანიის დასახელებას და არც იმაზე საუბრობს, რაში დასჭირდა ან ქართულ, ან ებრაულ მხარეს ამ კომპანიის განადგურება. არც იმაზეა საუბარი, რა ხერი ნახეს ამ „განადგურებით“ „გამნადგურებლებმა“.

მიმართვაზე პასუხის გაცემას არც კი ვაპირებდი, მაგრამ რამდენიმე გარემოებამ გადამაწყვეტინა, პასუხი გამეცა ამ თავხედური ცილისწამებისთვის.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ყოფილი პარტნიორების დუმილით გათამამებული ებახარი ცდილობს, ანალოგიური „მიმართვები“ მიაწოდოს ქართულ და ებრაულ ბიზნესწრეებს, ასევე ამ ორი ქვეყნის მთავრობებთან დაახლოებულ პირებს.

არ მინდა ქართველების და ებრაელების საუკუნოვან მეგობრობას, საქართველო-ისრაელის ურთიერთობებს ჩრდილი მიადგეს.

ჩვენი ხალხების მეხსიერებაში მწარე მოგონებებს აღძრავს წინა ხელისუფლების ავანტიურისტული საქციელი – ებრაელი ბიზნესმენების საქართველოში ჩამოტყუება, მექრთამეობის ბრალდებით დაპატიმრება და მათგან დიდი ოდენობით თანხების გამოძალვის მცდელობა.

ყველაზე მთავარი და საინტერესო ის მიზეზია, რისთვისაც ეს „მიმართვა“ დაიწერა. მის ავტორს კომპანიისთვის საჭირო მანქანადანადგარები ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში შეუძენია და ახლა ამ თანხის უკან დაბრუნებას ითხოვს.

ფულის დაბრუნებას ითხოვს, მაგრამ ამ საკმაოდ მძიმე ბრალდების დამადასტურებლად არავითარი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. ვერც წარმოადგენდა, რადგანაც ბუნებაში ასეთი არც ფაქტი არსებობს და არც დოკუმენტი. ეს „მიმართვა“ გახლავთ ჩვეულებრივი ავანტიურა – თუ გაუვა, ხომ კარგი, თუ არადა, ის ხომ არაფერს კარგავს.

„მიმართვის“ ავტორის კიდევ ერთი ბრალდება ასე ჟღერს – პარტნიორებმა სახელმწიფოსგან 49-წლიანი საიჯარო ხელშეკრულებით აღებული მიწის ნაკვეთი არ დაისაკუთრესო. ასეთ სულელურ ბრალდებაზე კომენტარის გაკეთებაც შეუძლებელია. სანამ ამას დაწერდა, რჩევა მაინც ეკითხა. ნებისმიერი დამწყები იურისტი აუხსნიდა, რომ სახელმწიფოსგან იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის დასაკუთრება ან გასხვისება გამორიცხულია.

ამ ყოვლად აბსურდული ბრალდებებიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: „მიმართვის“ ავტორმა იცის, რომ ისრაელის დღევანდელ ხელისუფლებაში (ისევე, როგორც სხვა წარმატებული ქვეყნების მთავრობებში) სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის ინტერესთა კონფლიქტი არსებობს. ცხადია, ავტორი ერთ-ერთი ოპოზიციური დაჯგუფების დავალებით მოქმედებს და ცდილობს, ისრაელის მთავრობას სახელი გაუტეხოს. სწორედ ამიტომ მოიხსენიებს საქართველოში ისრაელის ელჩს და მის სიძეს, მიანიშნებს საქართველო-ისრაელის მთავრობების „უკანონო ქმედებებზე“.

საბოლოოდ, აშკარა პროვოკაციამდე მიდის – ფული მომეცით, თორემ საქართველოს და ისრაელის მთავრობებს, საქართველოს და ისრაელის ბიზნესწრეებს ერთმანეთს გადავკიდებ, ორ მეგობარ ქვეყანას და ხალხს შორის დაპირისპირებას გავაჩაღებო....

კომპანია, რომელზეც „მიმართვის“ ავტორი საუბრობს, დაახლოებით 10 წლის წინ შეიქმნა. ეს გახლავთ ებრაულ-ქართული შპს „მტკვარი“ – სამშენებლო კომპანია, რომელიც ქსნის რაიონში მდებარეობს. სამშენებლო მასალების მწარმოებელი კომპანია თავიდანვე წარუმატებელი აღმოჩნდა. მისგან მოგება არც მე და არც სხვა პარტნიორებს არ მიგვიღია.

2012 წლიდან ფინანსური დარღვევების (არარენტაბელურობის, დავალიანების) გამო საწარმოოს ქონებას ყადაღა დაედო და აუქციონზე გაიყიდა. ხაზს ვუსვამ – კომპანიის ქონება დააყადაღა და აუქციონზე გაყიდა საქართველოს სახელმწიფომ. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის ყველა დამფუძნებელი დაზარალდა.

„მიმართვის“ ავტორის მტკიცებით კი, კომპანიის წარუმატებლობაში მთავარი დამნაშავე არის საქართველოში ისრაელის ელჩის სიძე დავიდ უტენი. ეს არის თავხედობა და სიცრუე. დავიდ უტენს გაკოტრებულ კომპანიასთან და, მით უმეტეს, მის მართვასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია.

ბატონმა მომჩივანმა წესით უნდა იცოდეს და მან ეს ნამდვილად იცის, რომ კომპანიის დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს არა რომელიმე ქვეყნის ელჩი ან მთავრობა, არამედ პარტნიორთა კრება. სწორედ ასე ინიშნებოდნენ და თავისუფლდებოდნენ კომპანიის ხელმძღვანელები. ეს ძირითადად ებრაული მხარის ინიციატივით ხდებოდა. ბუნებრივია, არსებობს პარტნიორთა მიერ ხელმოწერით დადასტურებული შესაბამისი ოქმები.

ავტორი იმასაც ამტკიცებს, რომ მე კომპანია ვიღაც „მესამე პირისთვის“ პარტნიორებთან შეუთანხმებლად მიმიყიდია. ასეთი რამის თქმა ადამიანს, რომელიც მეტნაკლებად აზროვნებს, არ ეკადრება. ბუნებრივია, არაფერი გამიყიდია, მაგრამ რომ მომენდომებინა კიდეც, მთლიანად კომპანიის, მისი ქონების ნაწილის გაყიდვა ან დამოუკიდებლად ქონების შეძენა, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების გარეშე, ამას ვერ გავაკეთებდი.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ფინანსური დარღვევების გამო კომპანიის ქონება დააყადაღა და მისი ნაწილი აუქციონზე გაყიდა საქართველოს სახელმწიფომ.

გასული საუკუნიდან მოყოლებული, ისრაელთან და მის ბევრ მოქალაქესთან მჭიდრო მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებდა და მაკავშირებს.

შემიძლია ვიამაყო, რომ მათ შორისაა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი და შემდეგ უკვე პრემიერი არიელ შარონი. საქართველოში მისი ვიზიტის დროს (მაშინ თბილისის ვიცე-მერი ვიყავი) ელჩ შაბთაი ცურთან ერთად ებრაელთა ერთ-ერთ სასაფლაოზე მოვიძიეთ მისი ბებიის საფლავი.

დიდი სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ჩემი მეგობარია ელჩი შაბთაი ცური, რომელიც წარმოშობით ვანიდან არის. ის უაღრესად განათლებული ადამიანია. იმდენად მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს, რომ საქართველოში ელჩად მეორე ვადით დანიშნეს. ამ ადამიანს ძალიან დიდ პატივს სცემენ ისრაელში, საქართველოში და მის მშობლიურ ვანში მისი სახელობის ქუჩაც კი გახსნეს.

მის მიმართ დაკავშირებით გაკეთებული ცილისმწამებლური განცხადებები არის სამარცხვინო. მე, მელორ ტყეშელაშვილი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბატონ შაბთაის კომპანიის დამფუძნებლების გაცნობაში, ადმინისტრაციულ საქმიანობასა და საკადრო პოლიტიკაში არასდროს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია.

P.S. მინდა ვისარგებლო ამ წერილით და ყველას გავაგებინო, რომ კომპანიის საკუთრებაში მყოფი დანადგარები უპატრონოდ არის მიტოვებული. კარგი იქნება თუ ამას მიხედავენ.

მელორ ტყეშელაშვილი

„დღეისთვის კრიპტოვალუტის 400-ზე მეტი სახეობა არსებობს“

პაატა შეშელიძე: „ზოგიერთი მათგანი პირამიდაა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში, ახალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი **პაატა შეშელიძე** პასუხობს.

– ბატონო პაატა, ამბობენ, რომ ჩვენი საზოგადოების ნაწილი (და არა მხოლოდ ჩვენი) გაიტაცა კრიპტოვალუტამ. გვესმის შეფასებები, რომ ეს ყველაფერი მალე საპნის ბუშტივით გასკდება და ამით ძალიან იზარალებს მოსახლეობა. როგორია თქვენი პროგნოზები და შეფასებები?

– აქ ხაზი უნდა გაესვას ორ რაღაცას: არის პროგრამა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით ბლოკშეინი და არის კრიპტოვალუტები, ბევრი, დაახლოებით 300-400-ზე მეტი, რომელიც ამ და მსგავსი პროგრამების საფუძველზეა გამოშვებული. მოდით, პირველიდან დავიწყოთ. ბლოკშეინტექნოლოგია არის საშუალება, ადამიანებს შორის თანამშრომლობა მოხდეს უშუალოდ, ყოველგვარი მესამე ცენტრალიზებული სისტემის გარეშე და ეს ძალიან საინტერესო პროგრამაა. მეტსაც ვიტყვი, პირველად მსოფლიოში სწორედ საქართველოში დაინერგა ამ ტექნოლოგიის გამოყენება იუსტიციის სერვისების მიმართულებით.

– კერძოდ, რა სერვისებია ხელმისაწვდომი?

– თქვენ შეგიძლიათ, იუსტიციის სერვისების გარკვეული მოცულობა სწორედ ამ ტექნოლოგიის გამოყენებით განახორციელოთ და ის უფრო გარანტირებულად გაძლევთ საშუალებას, რომ ის იქნება დაცული ფალსიფიცირებისაგან, ანუ ეს გამოყენება არის ძალიან პერსპექტიული. ეს არის ერთი, მაგრამ მას შეიძლება ჰქონდეს ბევრი სხვა გამოყენება და მისი მთავარი ღირსებაა ის, რომ ადამიანები უშუალოდ თანამშრომლობენ და მესამე სუბიექტის, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩარევა ამაში საჭირო არ არის, რაც აიაფებს კომუნიკაციასა და რეგისტრაციას, ასევე გაყიდვებს, კონტრაქტების დადებას და ასე შემდეგ, რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. შესაძლებელია, მთელი იუსტიციის სახლი ამაზე გადავიდეს და ზედმეტი ბიუროკრატია, ნოტარიუსები და მსგავსი რაღაცები არ იქნეს საჭირო, ანუ ეს ძალიან მნიშვნელოვანი გარღვევაა და მსგავსი ტექნოლოგიები რომ ინერგება, თან ამ მხრივ საქართველო რომ ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, ეს ძალიან კარგია. შესანიშნავია, რომ ამას ბევრმა აუღო ალღო და ცდილობს, ეს დანერგოს სხვადასხვა მიმართულებით.

– რას იტყვით კრიპტოვალუტაზე?

– რაც შეეხება კრიპტოვალუტას, კრიპტოვალუტის იდეა არის იმაში, რომ ადამიანებს ჰქონდეთ მათ შორის საშუალება, უშუალოდ, ცენტრალიზებული სისტემების გვერდის ავლით, როგორიცაა ბანკები, ცენტრალური საბანკო სისტემა, მსგავსი გადახდები გაიაფდეს და ასევე დაჩქარდეს დროში. აქედან გამომდინარე, ეს კონცეფცია სხვასაც შეუძლია მოიგონოს. ერთერთი პირველი, ვინც ეს კონცეფცია გაიაზრა და შესთავაზა საზოგადოებას, იყო ასეთი პიროვნება, ნიკ საბო, ამერიკელი. ის კოლუმბიის უნივერსიტეტში მუშაობს და ეს კონცეფცია მან ჩამოაყალიბა. ცოტა მოგვიანებით ეს სხვებმაც განავითარეს და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრიპტოვალუტა-ბიტკოინი, რომელიც ერთ-ერთია და არა ერთადერთი...

– ვინ არის ამ კრიპტოვალუტის შემმუშავებელი?

– თვითონ უშუალოდ ბიტკოინის გამოშვება მიეწერება ვინმე ნაკავოტოს, რომელიც უცნობი ადამიანია, არავინ იცის, კონკრეტულად ვინ არის. ეს უფრო მისი ფსევდონიმია, მაგრამ, მთავარი ის არის, რომ კონცეფცია, რომელიც ამ ბიტკოინს ედო, მისაღები აღმოჩნდა მილიონობით ადამიანისთვის, ანუ დეცენტრალიზებული გაცვლა, უშუალოდ, ყოველგვარი მარეგულირებელი პოლიტიკური ინსტიტუტების გარეშე, რაც იდეურად, კონცეპტუალურად არის გაგრძელება იმ მოსაზრებებისა, რომელიც ჰქონდა ავსტრიულ ეკონომიკურ სკოლას, რომელიც ამბობდა, რომ სრულიად შესაძლებელია, ადამიანები ყოველგვარი სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მარეგულირებლების გარეშე ვაჭრობდნენ და მას ჰქონდეს ღირებულება.

– დღეს ბიტკოინი ყველაზე ძვირადღირებულია კრიპტოვალუტებს შორის?

– ახლა ასეა, მაგრამ ჩვენ უნდა შევხედოთ დინამიკას, ანუ დროის მოკლე მონაკვეთში რომელზე იზრდება ფასი. ყველაზე მთავარი, ამ წუთში რომელს აქვს ყველაზე მაღალი ფასი და რომელს – არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა ჩემთვის.

– აბა, რას აქვს მნიშვნელობა?

– ჩემთვის კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოვლენა. მოვლენა არის ძალიან საინტერესო, პერსპექტიული და ხვალ რომელიმე კონკრეტული კრიპტოვალუტა რომც გაკოტრდეს, ეს არ არის პრობლემა. უამრავი ინტერნეტმომწოდებელი იყო, თუმცა დღეს რამდენიმე შემორჩა ბაზარს, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ინტერნეტი ხომ კარგია, არა?! უამრავი კომპანია შეიძლება ფულს ყიდდეს, მაგრამ ბოლოს რამდენიმე დარჩეს, რომელიც საუკეთესო იქნება. ამიტომ ფული ხომ არ არის ცუდი, არა? ჩვენ ასე უნდა გავყოთ.

– ანუ დღეს არის ბევრი და დარჩება მხოლოდ საუკეთესო?

– დიახ. კონკრეტული კრიპტოვალუტა შეიძლება არ გამოდგეს ინტერესიანი, მას დაეკარგოს ინტერესი და ამით ვიღაც გაკოტრდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კრიპტოვალუტა და პირდაპირი გადახდები ცუდია. მე ძალიან პოზიტიურად ვარ განწყობილი და, რაც მთავარია, რაც მეტი დრო გადის, უფრო მეტი და მეტი ადამიანი ერთვება. ისინი მზად არიან, თავიანთი მომსახურება, საქონელი გაცვალონ კრიპტოვალუტის მეშვეობით და ამიტომ ეს პრობლემა არ არის. პირიქით, ეს არის მომავალი იმ გაგებით, რომ თუ ტექნოლოგია დაინერგება, ის ჩაანაცვლებს ამ არსებულ ტექნოლოგიებს, რომელიც აშკარად მოძველებულია და, რაც მთავარია, პოლიტიკურად მართულია!

– ბატონო პაატა, ჩვენ მოვისმინეთ ექსპერტების შეფასებები და მათი მოსაზრებები რადიკალურად განსხვავებულია თქვენი შეფასებებისგან, რომ ეს არის ერთგვარი პირამიდა, რომ საპნის ბუშტივით გასკდება და ბევრ ადამიანს გააკოტრებს.

– კრიპტოვალუტა არის ბევრი, 400-ზე მეტი. შეიძლება, ზოგი არის პირამიდა, ზოგი არ არის. ეს არ არის მნიშვნელოვანი. დღეს ბანკებიც არის და პირამიდებიც, ამიტომ ბანკი არ ვარგა?! სესხებიც არის, ზოგი სულელურია, ზოგი ჭკვიანურად აღებულია, ამიტომ სესხი არ ვარგა?! ნუ დავსვამთ საკითხს ასე. დარჩება საუკეთესო, რომელსაც მოიხმარს ადამიანი, რომელზეც იქნება ვაჭრობა, რომელზეც მზად იქნებიან, გამოიყენონ, იყიდონ, გაყიდონ. ვიღაც არაკომპეტენტური რაღაც სისულელეს რომ დააბრეხვებს, არ უნდა გაიმეოროთ მათი მცდარი მოსაზრება.

– ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება.

– მერე ყველა ამაზე აკეთებს აქცენტს. მედიას დიდი ფუნქცია ენიჭება, ათასობით ადამიანს აწვდით ინფორმაციას. სწორად უნდა მივიდეს ეს ინფორმაციები საზოგადოებამდე, რათა ისინი არ შეცდნენ თავიანთ წარმოდგენებში. ეს არ არის პირამიდა! ამაზე ხალხი ვაჭრობს, ხოლო თუ ვაჭრობს, ეს არ არის პირამიდა! პირამიდა ის არის, როდესაც მის ბოლოში არავინ არის. ეს იგივეა, როგორც ნაღდი ფული გქონოდეთ. ეს დეცენტრალიზებულია, ანონიმურია. სანამ ადამიანებს სჭირდებათ ანონიმური ურთიერთობები, სანამ მათ სჭირდებათ სისწრაფე და არა პოლიტიკური ჩარევა, ეს იქნება და იქნება. მე ვიცი, ვინც ამბობს, სისულელეაო. ამ ადამიანებს ჰქონდეთ საშუალება, ქვეყანაში სერიოზული გადაწყვეტილებები მიეღოთ და ყველგან ჩააფლავეს. ჩვენ ასეთ ადამიანებს რატომ უნდა დავუჯეროთ?! ძალიან ბევრი კომპეტენტური ადამიანია, რომლებსაც არ ესმით ეს ამბავი. არ არის კომპეტენტური. მე კარგად ვიცნობ ამ ადამიანს და ის არ არის ამაში ჩახედული. ლადო პაპავა იყო მინისტრი, შემდეგ იყო რექტორი, ერთი ადგილიდანაც გააგდეს და მეორიდანაც. ის ავტორიტეტია?!

– ანუ თქვენ საპირისპიროს ამტკიცებთ?

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალიან ბევრი ადამიანი უაღრესად კომპეტენტური გახდა ამ საკითხებში. თავი დავანებოთ ამ კონკრეტულ ვალუტებს, ხალხმა ისწავლა ბაზარზე ვაჭრობა, ანგარიშის გახსნა, გამოცნობა, პროგნოზი. ეს დასაფასებელია. შეიძლება, სადღაც იყოს სპეკულაცია, მაგრამ სპეკულაციის გარკვევაც ხომ საქმეა. დღეს ათასობით ადამიანი ჩაერთო ამ საქმეში, ამის შესწავლაში, გარკვევაში, დაიხვეწა. ეს ძალიან კარია, მოვლენაა, ფაქტობრივად! შეიძლება, ვიღაცამ იზარალოს, მაგრამ ამის გარეშე არ გამოდის ცხოვრება! სად არის ისეთი რაღაც, რომ ყველა 100%-იან სწორ გადაწყვეტილებას იღებდეს. ამის მიუხედავად, ეს არის პერსპექტიული მოვლენა, თანაც ახალი. ეს იხვეწება და ვითარდება. ქართული ბანკებიც უკვე ერთვებიან ამ პროგრამაში და ამას ნამდვილად აქვს პერსპექტივა. სამწუხაროდ, ეს ბევრს არ ესმის.

– ამბობენ, რომ საქართველოში საკმაოდ პოპულარულია კრიპტოვალუტის ერთ-ერთი სახეობა, რიპლი. რის თქმა შეგიძლიათ რიპლზე?

– რიპლი არის ძალიან საინტერესო კრიპტოვალუტა, მაგრამ მხოლოდ კრიპტოვალუტა არ არის. ნახეთ, რიპლის იდეა რაში მდგომარეობს? რიპლის ორგანიზატორებმა მოიგონეს თავიანთი პროგრამა. ეს დეცენტრალიზებულია ერთი კომპანიის მიერ, მაგრამ უშუალო პროგრამაა.

11 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 10.796 ადმინისტრაციული საქმე განიხილეს

2017 წლის 11 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 10.796 ადმინისტრაციული საქმე განიხილეს. ამის შესახებ საერთო სასამართლოების სტატისტიკურ მონაცემებშია აღნიშნული. სტატისტიკის თანახმად, 3.022 ადმინისტრაციული სარჩელი სასამართლოებში ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, 7.774 სარჩელი კი ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა შეიტანეს. განხილული 10.796 სარჩელიდან სასამართლომ ადმინისტრაციული ორგანოების სასარგებლო გადაწყვეტილება 5.841 შემთხვევაში მიიღო, 3.935 კი ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ. 2017 წლის 11 თვეში რეგისტრირებული საჩივრებიდან მხოლოდ 21 დასრულდა მორიგებით.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოებს 2017 წლის 11 თვეში, მეორე ინსტანციის სასამართლოებმა სულ 1.664 ადმინისტრაციული საჩივარი განიხილეს, საიდანაც 796 საქმეზე გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ, 851 საქმე კი ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გადაწყდა. 8 ადმინისტრაციული საჩივარი მორიგებით დასრულდა, 9 საქმე კი ხელახალი განხილვისთვის პირველ ინსტანციაში დაბრუნდა.

2017 წლის 11 თვეში უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 662 საკასაციო საჩივარი იქნა განხილული, საიდანაც 191 საქმე ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ, 439 საქმე კი ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულდა. 1 საქმეზე მხარეები მორიგდნენ. 13 საკასაციო საჩივრის განხილვის შემდეგ უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საქმის ხელახალი განხილვისთვის დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო.

„მაისში გახსნილი სპორტული კომპლექსი თავიდან არის სარეაბილიტაციო“

თბილისის მერი კახა კალაძე, მერის მოადგილე ირაკლი ბენდელიანთან და თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროს გივი კუბლაშვილთან ერთად გლდანის რაიონში, მუხიანის IV მ/რ-ის მიმდებარედ, რაგბის სავარჯიშო კომპლექსში არსებულ მდგომარეობას გაეცნო.

დედაქალაქის მერმა შესაბამის სამსახურებს დაავალა, მშენებელი კომპანიის წარმომადგენელთან შეხვედრა გაიმართოს და ადგილზე არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად მუშაობა დროულად დაიწყოს.

– სამუშაოები, რომელზეც შვიდი მილიონი დაიხარჯა, გასული წლის მაისში დასრულდა. ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ უნდა შეასრულო სამუშაოები. ნამდვილად შეურაცხმყოფელია ის, რაც ადგილზე ვნახეთ. მაისში გახსნილი სპორტული კომპლექსი, დღეს უკვე თავიდან არის სარეაბილიტაციო. შესაბამის სამსახურებს დავავალე, რომ შეხვდნენ იმ კომპანიის წარმომადგენლობას, რომელმაც ეს სამუშაოები განახორციელა. აქ ჩვენი შვილები და მომავალი თაობა უნდა გაიზარდონ. ამიტომ ამ ყველაფერს არ დავუშვებთ, რადგან ჩვენ ხარისხზე ვართ ორიენტირებული, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, თბილისის მერიის მხრიდან შესაბამისი ღონისძიებები მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გატარდება.

– ჩვენ თვალს არაფერზე დავხუჭავთ. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ არსებული რეალობა შეიცვალოს და გამოსწორდეს, რადგან სიტუაცია კატეგორიულად მიუღებელია, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

სპორტული ბაზა, რომელიც გასული წლის მაისში გაიხსნა, ოთხ ჰექტარ ტერიტორიაზეა განთავსებული და 1000 გულშემატკივარზეა გათვლილი.

სარაგბო კომპლექსის მშენებლობა თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა შპს „საბა კონსტრაქშენს“ დაუკვეთა. სამშენებლო სამუშაოები 2016 წლის ივნისში დაიწყო და მათი საბოლოო ღირებულება 6 932 650.64 ლარით განისაზღვრა.

მედიანიუსი

აუდიტი: „შსს-ს თანამშრომლებისთვის ბინის დაქირავების ხარჯი 3 წლიწადში 120%-ით გაიზარდა“

ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ თანამშრომელთათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავების მიზნით გაწეული ხარჯები, – ამის შესახებ ნათქვამია აუდიტის სამსახურის დასკვნაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ დასკვნა 2017 წელის 29 დეკემბერს გამოაქვეყნა. დოკუმენტი 2016 წლის 31 დეკემბრამდე არსებულ ვითარებას ეხება.

დოკუმენტის თანახმად, შსს-ს თანამშრომლებისთვის ბოლო წლებში ბინის ქირის ხარჯები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. როგორც აუდიტის დასკვნაშია აღნიშნული, ეს ხარჯები ბოლო სამ წელში, 2013 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, 120%-ით გაიზარდა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ აღნიშნული ხარჯები გაწეულია მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, „თუ მოსამსახურეთათვის ბინის დაქირავებას ახორციელებს სამინისტრო, ბინის ქირის ღირებულება განისაზღვრება სამინისტროსა და გამქირავებელს (ფიზიკური პირი) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით“. ანუ, ამ შემთხვევაში დაკონკრეტებული არ არის გადასახდელი საიჯარო თანხის განსაზღვრის კრიტერიუმები და არ არის დადგენილი ზედა ზღვარი.

ანგარიშის მიხედვით, კონკრეტული თანამშრომლისათვის ბინის დაქირავების მიზანშეწონილობის საკითხს იხილავს მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია. კომისიის სხდომის ოქმებში არ არის არგუმენტირებული, თუ რა აუცილებლობით არის გამოწვეული დამატებითი საბიუჯეტო ხარჯების გაწევა და მხოლოდ ის არის დაფიქსირებული, რომ კომისიამ განიხილა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა შუამდგომლობით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ანგარიშის მიხედვით, წარმოდგენილი ინფორმაციით, თანამშრომელთათვის დაქირავებული ბინების საიჯარო გადასახადები მერყეობს თვეში 287.5 ლარიდან, თითქმის 3,000.0 ლარამდე. კომისიის სხდომის ოქმებში მითითებულია დასაქირავებელი ბინის მისამართი და გადასახდელი ქირის (საიჯარო გადასახადის) ოდენობა, თუმცა ქირის ოდენობის კრიტერიუმი განსაზღვრული არ არის. საიჯარო თანხის განსაზღვრის კრიტერიუმის არარსებობა საბიუჯეტო თანხების არაეკონომიურად განკარგვის მაღალ რისკს წარმოშობს.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია კრიტერიუმების შემუშავება და შესაბამისი ზღვრების განსაზღვრა.

– თანამშრომლებისთვის ბინის დაქირავების მიზნით გაწეული ხარჯი წლების განმავლობაში იზრდება და 2016 წლისათვის 512.8 ათას ლარს შეადგენს. ბინის ქირის ღირებულება განისაზღვრება 287 ლარიდან, თითქმის 3,000.0 ლარამდე. მოქმედი ნორმატიული ბაზით, დაკონკრეტებული არ არის გადასახდელი საიჯარო თანხის განსაზღვრის კრიტერიუმები და არ არის დადგენილი ზედა ზღვარი, რაც საბიუჯეტო თანხების არეკონომიურად განკარგვის რისკს წარმოშობს, – აღნიშნულია აუდიტის სამსახურის დასკვნაში.

შესაბამისად, აუდიტის სამსახური შსს-ს მიმართავს რეკომენდაციით, რომ „საბიუჯეტო თანხების არაეკონომიური განკარგვის რისკის შესამცირებლად, თანამშრომლებისთვის ბინის დაქირავება განხორციელდეს მხოლოდ დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში. ამასთან, შესაბამის ნორმატიულ აქტში დაკონკრეტდეს გადასახდელი საიჯარო ქირის განსაზღვრის კრიტერიუმები და დადგინდეს ზედა ზღვარი“, – აღნიშნულია რეკომენდაციაში.

ბანკებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემაზე მომხმარებლის ინფორმირება დაევალებათ

ბანკებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემაზე მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულება ექნებათ. შესაბამისი რეგულაცია მიმდინარე წლის თებერვლიდან ამოქმედდება.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ხელმძღვანელმა უკვე განსაზღვრა წესი, რომლის მიხედვითაც მომხმარებლის ინფორმირება მოხდება.

შედეგად, კომერციული ბანკი ვალდებულია კლიენტებისათვის დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით:

ა) უზრუნველყოს ბროშურების მუდმივად ხელმისაწვდომობა საკუთარ ფილიალებში/წარმომადგენლობებში;

ბ) პლაკატები განათავსოს საკუთარ ფილიალებში/წარმომადგენლობებში;

გ) სააგენტოს ლოგო-სტიკერი განათავსოს ფილიალების/წარმომადგენლობების შესასვლელ კარზე;

დ) კლიენტებს მიაწოდოს ინფორმაცია ამ ინსტრუქციის შესაბამისად;

ე) დაუგზავნოს კლიენტებს დეპოზიტების დაზღვევის შესახებ შეტყობინება ელექტრონული საშუალებებით

ვ) უზრუნველყოს დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინფორმაციის ინტეგრირება სადეპოზიტო და მიმდინარე ანგარიშით მომსახურების ხელშეკრულებაში.

კომერციულმა ბანკმა დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ამ ინსტრუქციის დანართი №1-ით გათვალისწინებული ინფორმაცია ზეპირი ფორმით უნდა მიაწოდოს კლიენტებს.

კომერციული ბანკი ვალდებულია დეპოზიტების დაზღვევის შესახებ სტანდარტული ინფორმაცია განათავსოს საკუთარ ვებგვერდზე სადეპოზიტო პროდუქტების განყოფილებაში წინამდებარე ინსტრუქციის დანართი №2-ის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა კომერციული ბანკის მიერ ამ ინსტრუქციის დარღვევის ფაქტი, მაშინ სააგენტო განიხილავს კომერციული ბანკისთვის კანონით განსაზღვრული სანქციის შეფარდების საკითხს.

კომერციული ბანკების მიერ კლიენტებისათვის დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ტექსტი:

– 2018 წლის 1 იანვრიდან, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის თანახმად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 5.000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

– რა თანხა ანაზღაურდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სააგენტოს მიერ? – ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში კლიენტის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 5.000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 5.000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

– როგორ ვისარგებლო დეპოზიტების დაზღვევით? – კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე.

– კომერციულ ბანკში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პირობები – სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღე, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები.

– ანაზღაურების ვალუტა – ლარი.

„სამშენებლო სექტორი რეგულაციებს მოუმზადებელი შეხვდა“

სამშენებლო კომპანია „GDG პლიუსის“ დამფუძნებლის ბეჟან წაქაძის შეფასებით, 2017 წელი სამშენებლო სექტორისთვის რთული იყო. ამის შესახებ მან რადიო „კომერსანტის“ ეთერში 2017 წლის შეჯამებისას ისაუბრა. მისივე თქმით, წელს „GDG პლიუსი“ ექვსი პროექტის განხორციელებას გეგმავს, რომლებიც უკვე დაწყებულია. მათი ნაწილი 2018 წელს დასრულდება, ნაწილი კი – 2019-ში.

– სფეროში სირთულეებიც იყო. სამშენებლო სექტორისთვის 2017 წლის პირველი იანვრიდან ახალი რეგულაციები შემოვიდა №42-ე დადგენილების სახით, რომელიც ამკაცრებს სამშენებლო წესებს. მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელი იყო, თუმცა პირველი ოთხი თვე საკმაოდ რთული იყო. სექტორი რეგულაციებს მოუმზადებელი შეხვდა, რადგან წინასწარ ტრენინგები არ ჩაუტარდათ იმ ადამიანებს, რომლებიც რეგულაციების სახით სამშენებლო ნებართვისთვის დასკვნებს აკეთებდნენ, – აღნიშნა წაქაძემ.

მისი თქმით, ლარის კურსი მარტიდან შემოდგომამდე სტაბილური იყო, რამაც სამშენებლო ბიზნესს რეალიზაციაში ხელი არ შეუშალა, თუმცა ბოლო თვეებში ლარის კურსის მერყეობამ და გაუფასურებამ სამშენებლო ბიზნესში რეალიზაციას პირდაპირი დარტყმა მიაყენა.

ამასთან, 2017 წლის 1-ელი იანვრიდან რეინვესტირება, ანუ ესტონური მოდელი ამოქმედდა, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია/საწარმო მოგების გადასახადით მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში იბეგრება, ხოლო თუ მის სრულ რეინვესტირებას ახდენს, აღნიშნული გადასახადისგან თავისუფლდება. ბეჟან წაქაძის თქმით, აღნიშნული მოდელი არა მხოლოდ სამშენებლო, არამედ მთლიანად ბიზნესისთვის დადებითი შედეგების მომტანი იყო.

– ბიზნესს რამდენიმე ასეული ლარი დარჩა, რომლებიც რეინვესტირებისთვის იქნება გამოყოფილი. 2017 წელს გარკვეული თანხები უკვე დაზოგილი გვაქვს. თუმცა დამატებითი ღირებულების გადასახადის ავანსის სახით დაბეგვრა სერიოზული დარტყმა იყო ბიზნესისთვის. ეს არ იქნება კომპენსაცია იმისა, რაც ჩვენ ესტონურმა მოდელმა გვარგო. ერთმა მეორე ვერ დააბალანსა. ჩვენი რეალიზაციიდან ყოველთვიურად წინასწარ დამატებითი ღირებულების გადასახადს ითხოვენ, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. წინასწარ თანხის გადახდა არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. მიწოდების შემთხვევაში უნდა ხდებოდეს გადახდა და არა წინასწარ. მით უმეტეს, ჩვენ არ ვაწოდებთ ამ შემთხვევაში, მხოლოდ ვაშენებთ, – აღნიშნა ბეჟან წაქაძემ.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის 1-ელი იანვრიდან ინფრასტრუქტურული კომპანიებისთვის ავანსის დღგ-თი დაბეგვრის ვალდებულება ამოქმედდა. აღნიშნული პერიოდიდან დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის დროდ ავანსის გადახდის მომენტი განისაზღვრა და თანხის გადახდა საქონლის მიწოდებამდე ხორციელდება.

„მაგთი“ და „ჯეოსელი“ ათ წელზე მეტია, ტარიფებზე შეთანხმებული იყვნენ“

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს. გიორგი ქადაგიძე წერს, რომ წლების განმავლობაში „მაგთი“ და „ჯეოსელი“ შეთანხმებულად მოქმედებდნენ, რისი შედეგიც იყო საქართველოში მობილურ კავშირზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ტარიფი.

– ოლიგოპოლია – არაკონკურენტული გარემო, სადაც მცირე რაოდენობის მოთამაშეები აკონტროლებენ ბაზარს. ოლიგოპოლია შეიძლება გადაიზარდოს კარტელურ შეთანხმებაში და გამოიხატოს მომხმარებლისთვის გაზრდილ ფასში. ამის საუკეთესო მაგალითია „მაგთი“ და „ჯეოსელი“. ეს ორი კომპანია ათ წელზე მეტია შეთანხმებული იყვნენ ტარიფებზე და წუთში 29 თეთრს (ეჭვი მაქვს, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ტარიფს) გვახდევინებდნენ. სტატუს კვო მხოლოდ მესამე მოთამაშის შემოსვლამ დაანგრია. აღმოჩნდა, რომ, თურმე, რამდენიმე თვეში შესაძლებელი ყოფილა საცალო ტარიფის 29 თეთრიდან ჯერ განახევრება და რეგულატორის მიერ „პორტირების“ დანერგვასთან ერთად 3-5 თეთრამდე შემცირება. რამდენი ასეული მილიონი მოგება ნახეს ამ პერიოდში კომპანიებმა, საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის, რადგან არც ერთი არ აქვეყნებს შესაბამის ფინანსურ ინფორმაციას, – წერს ქადაგიძე.

„აუცილებელია, კომპანიებმა დეტალური ფინანსური ინფორმაცია გამოაქვეყნონ“

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე სოციალურ ქსელში სტატუსს აქვეყნებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ქადაგიძე წერს, რომ საჭიროა ფინანსური გამჭვირვალობის მიმართულებით მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება. ქადაგიძე ფიქრობს, რომ აუცილებელია, დეტალური ფინანსური ინფორმაციის გამოქვეყნება სავალდებულო გახდეს შემდეგი კომპანიებისთვის:

– ბუნებრივი მონოპოლიები (თელასი, წყალი, გაზი);

– სსიპ-ებისთვის (რეესტრები, სააგენტოები და ა.შ.);

– რეგულირებული ინდუსტრიები (კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, ჯანდაცვა);

– ყველა კომპანიისთვის, რომელსაც ბიუჯეტიდან აქვს შემოსავალი წელიწადში მაგ., 5 მილიონ ლარზე მეტი.

ქადაგიძე ფიქრობს, რომ ასეთ შემთხვევაში მომხმარებლებს და სხვა დაკავშირებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა გაიგონ, რატომ გაძვირდა ტარიფი, ფასი, გადასახადი და ა.შ. ასევე შეაფასონ კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი და არა მხოლოდ კარგად გაკეთებული პიარკამპანიები.

რა უჯდება მოსახლეობას 112-ის შენახვა

ვებგვერდი „შემცირდეს ინტერნეტის ფასები და გაიზარდოს ინტერნეტის სიჩქარე“ 2012 წლიდან 112-ის შემოსავლების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს. როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, 5 წელიწადსა და 5 თვეში 112-ის შემოსავლებმა 44 093 706,44 ლარი შეადგინა.

როგორც ცნობილია, 112-ის მომსახურება არის უფასო. თუმცა, გადაუდებელი დახმარების სერვისთან წვდომისთვის გათვალისწინებულია თვეში ერთხელ გადასახადი.

ყოველთვიური გადასახადი შეადგენს:

ა) ფიზიკური პირისთვის – 0.20 ლარს;

ბ) იურიდიული პირისთვის, ორგანიზაციისთვის, დაწესებულებისთვის – 0.50 ლარს.

ყალბი ერთლარიანი მონეტების დამზადება-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 2017 წლის ნოემბერსა და დეკემბერში დაამზადა 3.300 ერთეულზე მეტი ყალბი ერთლარიანი მონეტა, რომლებიც ქალაქ თბილისში განთავსებული სწრაფი ჩარიცხვის აპარატების მეშვეობით გაასაღა.

– საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია ბრალდებულის მიერ დამზადებული და გასაღებული ყალბი ერთლარიანი მონეტები, მონეტების დასამზადებლად საჭირო მასალა, ყალიბები და ხელსაწყოები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 7 წლამდე ვადით, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სოფიო კილაძის მიმართ ელგა ფოლადიშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სოფიო კილაძის მიმართ ამავე კომიტეტის თანამშრომლის ელგა ფოლადიშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში პროცესი გუშინ გაიმართა.

მოსარჩელე ითხოვდა დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასა და საყვედურის გამოცხადების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობას, თუმცა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტები და დაადგინა, რომ ელგა ფოლადიშვილის მიმართ ადგილი დისკრიმინაციის ფაქტს არ ჰქონია.

2017 წლის 11 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 1.592 საგადასახადო დავა განიხილეს

2017 წლის 11 თვეში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 1.592 საგადასახადო დავა განიხილეს, რომელთაგან 1.327 საჩივარი სასამართლოებში საგადასახადო ორგანოების, 265 საჩივარი კი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერაა შეტანილი. სასამართლო განხილვების შედეგად 1.222 საქმე საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ, 367 საჩივარი კი ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ გადაწყდა.

მეორე ინსტანციის სასამართლოებმა კი 2017 წლის 11 თვეში 156 სააპელაციო საჩივარი განიხილეს, რომელიც საგადასახადო დავებს ეხებოდა. აქედან 54 საგადასახადო ორგანოების სასარგებლოდ, 101 კი ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულდა. სააპელაციო საჩივრებიდან მხოლო ერთი დაუბრუნდა პირველ ინსტანციას ხელახალი განხილვისთვის.

2017 წლის 11 თვეში უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ საგადასახადო დავებთან დაკავშირებული 69 საკასაციო საჩივარი განიხილეს, რომელთაგან 19 საქმე ადმინისტრაციული ორგანოების, 49 კი ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს არცერთ ინსტანციაში საგადასახადო დავები მორიგებით არ დასრულებულა.

ჯერ მოკლა, შემდეგ კი მტკვარში გადააგდო – დავით ტორიაშვილის მკვლელობისთვის 6 კაცი დააკავეს

თბილისში მომხდარი დავით ტორიაშვილის სასტიკი მკვლელობა გახსნილია. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილის თქმით, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1991 წელს დაბადებული პირი დააკავეს.

ამასთან, დაკავებულია 5 პირი, რომლებიც, შს მინისტრის მოადგილის თქმით, 29 დეკემბერს მომხდარი მკვლელობას თვითმხილველები არიან, თუმცა დანაშაულის შესახებ ინფორმაცია დამალეს და გამოძიებასთან არ ითანამშრომლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მომხდარი მკვლელობა უმოკლეს ვადაში გახსნა. დანაშაულის გახსნა მოხერხდა იმის მიუხედავად, რომ ფაქტის შესახებ ინფორმაციის მქონე პირებმა გამოძიებასთან არ ითანამშრომლეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოსა და ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1 პირი – 1991 წელს დაბადებული ნ.ქ., ხოლო დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით – 5 პირი: 1983 წელს დაბადებული ი.შ., 1987 წელს დაბადებული ნ.მ., 1991 წელს დაბადებული ზ.ლ., 1983 წელს დაბადებული რ.ხ. და 1990 წელს დაბადებული გ.ი.

დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის გათვალისწინებულია 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო მკვლელობაში ბრალდებულს 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

2017 წლის 29 დეკემბერს 1998 წელს დაბადებული დ.ტ.-ს გაუჩინარების შესახებ მისმა ოჯახმა პოლიციას შეატყობინა. აღნიშნული შეტყობინების საფუძველზე თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოში გამოძიება დაიწყო საქართველოს სსკ-ს 143-ე მუხლით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა).

პარალელურად, პოლიცია გაუჩინარებული პირის ძებნის ინტენსიურ ღონისძიებებს ახორციელებდა. სამართალდამცველებმა დ.ტ.-ს ცხედარი მიმდინარე წლის 8 იანვარს თბილისში, მდინარე მტკვარში აღმოაჩინეს და საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველების დახმარებით წყლიდან ამოიტანეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 29 დეკემბერს 1991 წელს დაბადებულმა პირმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე გადაჭრილი თოფისა და ცივი იარაღის გამოყენებით ყელისა და გულ-მკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა თავის ნაცნობს, 1998 წელს დაბადებულ პირს და კვალის დაფარვის მიზნით ცხედარი მდინარე მტკვარში გადააგდო.

ფაქტის შემსწრე 5 პირი, რომლებმაც არ ითანამშრომლეს გამოძიებასთან, დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის უკვე დაკავებულია, თუმცა ბრალდებულ პირთა წრე შესაძლოა გაიზარდოს. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – გადაჭრილი თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე და 376-ე მუხლით).

– მიუხედავად იმისა, რომ ამ მძიმე ფაქტს პირთა ფართო წრე შეესწრო, არცერთმა მათგანმა 8 დღის განმავლობაში არ შეატყობინა სამართალდამცველ ორგანოებს და არ ითანამშრომლა გამოძიებასთან, რაც სამწუხაროა. დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისთვის მიზანშეწონილი და მნიშვნელოვანია საზოგადოების აქტიური ჩართულობა. შესაბამისად, შს მოქალაქეებს მოუწოდებს, დანაშაულის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდონ სამართალდამცველ ორგანოებს, რათა დანაშაულის გახსნა კიდევ უფრო ეფექტიანად განხორციელდეს, – განაცხადა მეზვრიშვილმა.

ადვოკატი ეკა მაჭარაშვილი: „ხორავას ქუჩაზე კიდევ ერთი პირია დაჭრილი“

თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი სისხლიანი გარჩევისას ორი მოზარდი დაიღუპა. ვრცელდება ინფორმაცია ასევე იმის შესახებ, რომ კიდევ ერთი პირი დაიჭრა. აღნიშნულს „კურიერთან“ საუბრისას ადასტურებს ადვოკატი ეკატერინე მაჭარაშვილი.

მისი თქმით, დანაშაულში მონაწილეობდა იმაზე მეტი პირი, ვიდრე დღეს ბრალდების სკამზე ზის:

– საქმის მასალებში ფიგურირებს არასრულწლოვანი, რომელიც დაჭრილი იყო 1 დეკემბრის ინციდენტის დროს, თუმცა გამოძიებით ჯერჯერობით დადგენილი არ არის, ვის მიერ მოხდა ამ არასრულწლოვნის დაჭრა. ის დაკითხულია, საფრთხეები არსებობს, თუმცა, დაცვის მხარე დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ეს მხოლოდ ამ ორ პირს არ ჩაუდენია, იქ იყო იმაზე მეტი დანა, ვიდრე გამოძიებით არის დადგენილი და იმაზე მეტი პირი მონაწილეობდა, ვიდრე ბრალდებულის სკამზე ზის, – აღნიშნავს ადვოკატი.

გუშინ აღნიშნულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართა.

საქმის პროკურორმა სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა და დაცვის მხარეს უპასუხა.

– ზოგადად კომენტარს გავაკეთებ. საქმის მასალების მიხედვით, ვისზეც არის დაზიანებები მიყენებული, ყველა პირი არის იდენტიფიცირებული. ყველა პირს ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა და ამ კუთხითაც მიმდინარეობს გამოძიება. რაც შეეხება დაცვის მხარის მტკიცებას, რომ საქმეზე არაობიექტურად ჩატარდა გამოძიება და არ არის სრულყოფილად ჩატარებული გამოძიება, ეს არის სიცრუე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად, – განაცხადა პროკურორმა ზვიად ფხაკაძემ.

მისი თქმით, ბრალდების მხარემ ჩაატარა საგამოძიებო მოქმედებები.

– რაც შეეხება საქმეში არსებულ მტკიცებულებების სახეობასა და შინაარსს, ბრალდების მხარე შინაარსში ვერ შევა. უნდა დავიცვათ არასრულწლოვნების ინტერესები. საქმეზე დაკითხულია 120-მდე პირი, ჩატარდა 20 ექსპერტიზა. დარწმუნებული ვართ, ბრალდებას დავადასტურებთ, – განაცხადა ფხაკაძემ.

მისივე თქმით, გამოყოფილია კიდევ სხვა სისხლის სამართლის საქმეც, სადაც პასუხისგებაში მიცემულია ხუთი პირი.

– თუ იქნება მტკიცებულებები, ყველა პირი მიეცემა პასუხისგებაში. უტყუარად არის დადასტურებული, რომ მხოლოდ ის ცივი იარაღი მონაწილეობდა საქმეში, რაც წარმოდგენილია სასამართლოში. როგორ და რა ვითარებაში მიიღეს გარდაცვლილებმა დაზიანებები ამაზე ვერ ვისაუბრებთ. ტარდება ექსპერტიზები, რათა დადგინდეს, რა დაზიანებები მიიღეს სხვა პირებმა, – აღნიშნა პროკურორმა.

ადვოკატი ტარიელ კაკაბაძე აცხადებს, რომ არსებობს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში სხვა პირებიც ფიგურირებდნენ, თუმცა ამ ეტაპზე მას კანონი არ აძლევს იმის უფლებას, რომ ინფორმაცია გაასაჯაროვოს.

– მე ამ ეტაპზე კანონი არ მანიჭებს ამის უფლებას, თუმცა, როდესაც სასამართლოზე დაიწყება მოწმეთა დაკითხვა, აუცილებლად გვექნება საშუალება, მოგაწოდოთ უფრო კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, – განაცხადა ტარიელ კაკაბაძემ.

მოზარდების მკვლელობის საქმეზე ბრალდებული ორივე პირი სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.

როგორც სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ ბრალდებულთა ადვოკატმა ეკა მაჭარაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, დაცვის მხარეს აღკვეთის ღონისძიების გადახედვის საკითხი არ დაუყენებია, თუმცა, საპროცესო კოდექსის თანახმად, არასრულწლოვნის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია, გადასინჯოს აღკვეთის ღონისძიების საკითხი 20 დღეში ერთხელ.

ადვოკატის თქმით, მოსამართლემ კვლავ პატიმრობაში დატოვა ბრალდებულები. მისივე თქმით, მოსამართლის განმარტებით, არსებობს მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის და მოწმეებზე ზეწოლის საფრთხე.

წინასასამართლო სხდომა დღეს გაგრძელდება.

სახალხო დამცველმა ოთარ აბესაძის საქმის შესწავლა დაიწყო

ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებული მერიის ყოფილი თანამშრომლის, ოთარ აბესაძის, საქმის შესწავლა სახალხო დამცველმა დაიწყო. როგორც ომბუდსმენის განცხადებაშია აღნიშნული, სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ბრალდებული ჩაფიძის კლინიკაში უკვე მოინახულა. ამასთან, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, სახალხო დამცველის აპარატი მომავალშიც გააგრძელებს ბრალდებულ ოთარ აბესაძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განხილვის მონიტორინგს.

– მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი აცნობებს საზოგადოებას, რომ ბრალდებულ ოთარ აბესაძის საქმის შესწავლა სახალხო დამცველმა, კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი ინიციატივით დაიწყო. აღნიშნული საქმის შესწავლის ფარგლებში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა ჩაფიძის სახელობის გულის ცენტრში მოინახულეს ბრალდებული.

სახალხო დამცველის აპარატი ახორციელებს და მომავალშიც გააგრძელებს ბრალდებულ ოთარ აბესაძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის განხილვის მონიტორინგს.

სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პატიმრობა უნდა იყოს პროპორციული. პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ეფექტიანი გამოძიების ინტერესებს და ამასთან, ითვალისწინებდეს ბრალდებულთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ გარემოებებს, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობას, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

მერიის ყოფილი თანამშრომელი ოთარ აბესაძე ქრთამის აღების ბრალდებით სუს-მა დააკავა. გამოძიების თანახმად, აბესაძემ მდინარე მტკვარზე გარკვეული კონსტრუქციის აშენებისთვის საჭირო ნებართვის მისაღებად და ნებართვის მიღებამდე მშენებლობის წარმოების მფარველობის სანაცვლოდ მოქალაქეს 3 ათასი დოლარი ქრთამის სახით გამოართვა.

მტკვრის ნაპირას 25 წლის მამაკაცის ცხედარი იპოვეს

თბილისში 25 წლის მამაკაცი მოკლეს. გარდაცვლილის ცხედარი მტკვრის ნაპირას გუშინ იპოვეს. არსებული ინფორმაციით, ცხედარს დაზიანებები ყელის არეში აქვს მიყენებული. ახალგაზრდა კვირაზე მეტია დაკარგული იყო და მას ოჯახი ეძებდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

რუსეთი და ჩინეთი ამერიკის წინააღმდეგ ერთიანდებიან

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ წერდა, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია მთავარ საფრთხედ აღიარებს ჩინეთს. ამერიკის საფრთხეებად ასევე მიჩნეულია რუსეთი, ირანი და ჩრდილოეთ კორეა.

იტალიელი ექსპერტების შეფასებით, ამ დღეებში გამოჩნდა, რომ მოსკოვი და პეკინი ვაშინგტონის გამოწვევას პასუხობენ: რუსეთი და ჩინეთი ერთმანეთთან თანამშრომლობას აღრმავებენ. მათი მთავარი მიზანია, შეზღუდონ ამერიკის გავლენა.

იტალიელი ანალიტიკოსების დასკვნით, რუსეთი და ჩინეთი მიხვდნენ, რომ შეუძლიათ შექმნან ბლოკი გეოპოლიტიკური გარდატეხის ამ მღელვარე ხანაში. ეს ის პერიოდია, როცა აშშ ამუშავებს თავის საგარეო პოლიტიკას.

მოსკოვისა და პეკინის ინტერესები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ მათ იციან, რომ უახლოესი წლების განმავლობაში მათი ურთიერთობები გაძლიერდება. ისინი განვითარდება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კუთხით. ეს ურთიერთდაახლოება ნაყოფიერი იქნება აზიიდან და ევროპიდან ამერიკის გავლენის განდევნისათვის იმ დროს, როცა ურთულესი ვითარებაა აფრიკის ფრონტზეც.

ექსპერტების თქმით, არის სფეროები, რომლებშიც რუსეთს და ჩინეთს ერთმანეთი სჭირდებათ. პეკინი უარს ვერ ამბობს რუსეთის ენერგორესურსებზე, ასევე დიპლომატიურ სამსახურსა და სამხედრო ცოდნაზე. მოსკოვს ესაჭიროება ჩინური მილიარდები, ინვესტიციები და ბაზარი.

ორივე მათგანს სურს აშშ-ის გავლენის შემცირება. ეს ყველაფერი მიუთითებს, რომ დათვი და დრაკონი თავიანთ სტრატეგიებს გააერთიანებენ და ეს გადაწყვეტილებებზეც აისახება. რუსულ-ჩინური სინერგიის პირველ მაგალითებად შეიძლება იქცეს ჩრდილოეთ კორეისა და სირიის საკითხები.

რუსეთსა და აშშ-ს ერთმანეთის საპირისპირო პოზიციები აქვთ ირანში განვითარებული მოვლენებისადმი. ბოლო თვეებში რუსეთი განსაკუთრებით დაუახლოვდა ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლებას, რომელსაც ღიად უპირისპირდება აშშ. თეთრმა სახლმა მხარი დაუჭირა ირანში გამოსულ დემონსტრანტებს.

ბრიტანული მედიის შეფასებით, ირანის მოვლენები დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა მოსკოვისათვის. კრემლი არ დაუშვებს, რომ პროტესტი გახდეს თეირანზე დამატებითი ზეწოლის ბერკეტი.

რუსეთი და აშშ შეძლებისდაგვარად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში.

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მოსკოვმა და ვაშინგტონმა ამ სფეროშიც გაცვალეს ნეგატიური განცხადებები.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მტკიცებით, ტერორისტებმა ახლო აღმოსავლეთში მიიღეს წვდომა უახლეს ტექნოლოგიებზე. ამის საშუალებით ტერორისტებს აქვთ უპილოტო საფრენი აპარატებით ტერაქტების ნებისმიერ ქვეყანაში მოწყობის ბერკეტი. ამგვარი აპარატები მათ სირიაში რუსეთის ობიექტებზე თავდასხმისათვის ამ დღეებში გამოიყენეს. რუსმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ამ საქმეში ამერიკის ხელი ურევია. ამას პენტაგონმა ტყუილი და აბსურდი უწოდა.

ყველაფერი მეტყველებს, რომ აზიაში და საერთოდ მთელ მსოფლიოში სერიოზული ძვრები ხდება. ისინი საქართველოზეც იმოქმედებს. მთავარია, თბილისმა შეძლოს საკუთარი ინტერესების წამოწევა და დაცვა.

რუსეთი მოლდოვაში გავლენას კარგავს?!

მოლდოვის საკონსტიტუციო სასამართლომ პრეზიდენტ დოდონს უფლება-მოსილებანი შეუჩერა. ფორმალურად ამის მიზეზი პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის კონფლიქტია. დოდონმა უარი განაცხადა, დაემტკიცებინა რამდენიმე მინისტრი, რომლებსაც მხარს უჭერდნენ როგორც პრემიერი პავლე ფილიპი, ასევე საპარლამენტო უმრავლესობა. თუმცა ეს მხოლოდ გარეგნული მხარეა. სინამდვილეში კონფლიქტის მიზეზი უფრო ღრმაა. დოდონი მხარს უჭერს მოლდოვის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებას. ის მზადაა, დნესტრისპირეთთან კონფედერაციული შეთანხმება გააფორმოს, რაც სეპარატისტული რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავს. პრემიერი და პარლამენტის უმრავლესობა კი მოლდოვის ევროკავშირში შესვლას ემხრობიან.

– დოდონი პუტინის პუდელია, – ასე დაახასიათა პრეზიდენტი პრემიერმა პავლე ფილიპმა.

დოდონის პრეზიდენტად არჩევა ძირითადად კრემლის მხარდაჭერამ განაპირობა. ყველა, ვინც მოლდოვის პრეზიდენტის არჩევნებს თვალს ადევნებდა, აღნიშნავს, რომ დოდონის უკან უზარმაზარი ფინანსური რესურსები და საინფორმაციო მხარდაჭერა იდგა. მისი უმთავრესი კონკურენტის მაია სონდუს შტაბში კი ძირითადად

ვოლონტიორები მუშაობდნენ. მიუხედავად ამისა, დოდონის გამარჯვება არ იყო დამაჯერებელი. მან ხმების 52% მოაგროვა, სონდუმ – 47%.

პრეზიდენტისა და პარლამენტის დაპირისპირება მოლდოვის პრორუსულ და

პროდასავლურ ძალებს შორის დაპირისპირებაა. ეს უდიდეს გავლენას იქონიებს საპარლამენტო არჩევნებზე, რომელიც 2018 წელს უნდა გაიმართოს.

ის, რომ დოდონს პრეზიდენტის უფლება-მოსილება შეუჩერდა, კრემლის სერიოზული მარცხია. ამით საპარლამენტო არჩევნების წინ მოლდოვის პრორუსული ძალების პოზიციები მნიშვნელოვნად შეირყა.

რამდენად მოასწავებს ეს მოლდოვაში რუსეთის გავლენის დაცემას? თანახმად უკანასკნელი სოციოლოგიური მონაცემებისა, მოლდოვის მოსახლეობის 40% მხარს ევრაზიულ კავშირში შესვლას უჭერს, 45% ევროკავშირში შესვლას ემხრობა. შარშან ამ დროს 42% ევრაზიულ კავშირში შესვლას უჭერდა მხარს, 44% – ევროკავშირში შესვლას.

რუსული ვექტორის მომხრეთა რაოდენობა შემცირდა, თუმცა, ფაქტია ისიც, რომ პოლარიზაცია დარჩა. მოლდოვაც კონსოლიდირებულ რესპუბლიკად ვერ იქცა.

დავუმატოთ ამას მოლდოვაში არსებული სიღატაკე, კორუფცია, უმუშევრობა. ამისი შედეგია მოსახლეობის დიდი ნაწილის აპათია. ეცემა ყველა პოლიტიკური ძალის რეიტინგი. ასევე ეცემა მოსახლეობის ნდობა სახელისუფლებო ინსტიტუტებისადმი.

ასეთ სიტუაციაში იმის თქმა, რომ რუსეთის გავლენა მოლდოვაში საბოლოოდ დაეცა, ნაადრევია.

დღეს მხოლოდ იმის კონსტატაცია შეიძლება, რომ რუსეთს მოლდოვაში პრობლემები შეექმნა. რაც შეეხება ამ რესპუბლიკაში პოლიტიკურ ძალთა განლაგებას, ეს საბოლოოდ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაირკვევა.

მაიკ პომპეო: „რუსეთი აშშ-ის არჩევნებში კვლავ ერევა!“

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ რუსეთი ამერიკულ არჩევნებში კვლავ ერევა. პომპეომ დაადასტურა, რომ მოსკოვი აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში ჩაერია, ახლა კი კონგრესის არჩევნებში ჩარევისთვის ემზადება.

– რუსების ჩარევა ჩვენს არჩევნებში გრძელვადიან ხასიათს ატარებს! – თქვა პომპეომ.

ცსს-ის დირექტორმა ხელისუფლებას ქმედითი ზომების მიღებისკენ მოუწოდა.

– ვერცერთი უცხო ძალა ჩვენს არჩევნებში ვერ უნდა ჩაერიოს! – ამბობს პომპეო.

ამავე დროს, დონალდ ტრამპის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში, გენერალმა მაკმასტერმა განაცხადა, რომ რუსეთი კატალონიელ სეპარატისტებს ეხმარებოდა. მაკმასტერმა ხაზი გაუსვა, რომ კატალონიის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს ესპანეთის შემადგენლობაში დარჩენას უჭერს, ამიტომაც რუსული სპეც-სამსახურები ბარსელონაში სისხლისღვრის პროვოცირებას ცდილობდნენ.

– სქემა მარტივი იყო: ესპანელ ძალოვნებსა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებების პროვოცირება, რასაც სისხლისღვრა უნდა მოჰყოლოდა. ამის შემდეგ ვითარება უკონტროლო გახდებოდა. სეპარატისტებსაც გამარჯვების შანსი ეძლეოდათ, – თვლის მაკმასტერი.

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის აზრით, კრემლი მექსიკის მომავალ არჩევნებში ჩასარევადაც ემზადება. მაკმასტერმა ხაზი გაუსვა, რომ რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციული საქმიანობის მასშტაბები იზრდება.

– ამის თაობაზე პრეზიდენტ ტრამპს მოვახსენე, – თქვა მაკმასტერმა.

ლეონიდ კრავჩუკი: „რუსეთი უკრაინის დამოუკიდებლობას არასოდეს შეეგუება!“

უკრაინის პირველმა პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა განაცხადა, რომ დღეს მის ქვეყანაში უნიკალური სიტუაცია შეიქმნა. უკრაინელთა 94% დამოუკიდებლობას უჭერს მხარს. რაც შეეხება ევროპულ ვექტორს, აქ შემდეგი სურათი გვაქვს: ნატოში გაწევრიანებას 72% ემხრობა, ევროკავშირში – 77%. უკრაინის ფედერალიზაციის მომხრეთა რაოდენობა 4%-დან 3%-მდე შემცირდა; რუსეთ-უკრაინის გაერთიანების მომხრეც 3%-ია. რაც შეეხება უკრაინის ევრაზიულ კავშირში შესვლას, აქ მაჩვენებელი 9%-დან 7%-მდე შემცირდა. რუსული ენისთვის მეორე სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების მომხრე 8%-ია. შარშან ამ დროს ეს მაჩვენებელი 16%-ს შეადგენდა, 2013 წელს კი 30% იყო.

– მიუხედავად ამისა, ეს თვითდამშვიდების საშუალებას არ იძლევა. რუსეთი უკრაინის დამოუკიდებლობას არასოდეს შეეგუება! – ამბობს კრავჩუკი.

უკრაინის პირველი პრეზიდენტის აზრით,

ახლა კრემლი აქცენტს არა კიევის ხელისუფლებაში პრორუსული ძალების მოყვანაზე, არამედ უკრაინის დაშლაზე გააკეთებს. შესაბამისად, მოსალოდნელია როგორც ესკალაცია დონბასში, აგრეთვე უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე რუსული აგენტურის მკვეთრი გააქტიურებაც. გამორიცხული არ არის დივერსიები, ტერაქტები.

კრავჩუკმა ამას ხაზი განსაკუთრებით გაუსვა და უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებას შესაბამისი მოქმედებისკენ მოუწოდა.

მისი აზრით, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია არმიისა და უშიშროების გაძლიერება. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, აქ მინსკის ფორმატის რეანიმაცია უნდა მოხდეს ან ის უფრო ეფექტური ბუდაპეშტის ფორმატით ჩანაცვლდეს, სადაც მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა უკრაინას დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტია მისცეს.

– რუსული აგრესიის გასანეიტრალებლად ეს აუცილებელია, – თქვა კრავჩუკმა.

ირანი იმუქრება

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზარიფმა განაცხადა, რომ საპროტესტო აქციები მის ქვეყანაში უცხო სახელმწიფოების მიერ არის ინსპირირებული.

ზარიფმა ეს ბრალად აშშ-ს, ისრაელსა და საუდის არაბეთს დასდო.

– ირანში არეულობების პროვოცირება ჩვენი ქვეყნისთვის ომის გამოცხადების ტოლფასია! ამას სათანადო რეაგირება მოჰყვება, – აცხადებს ზარიფი.

სირია: რუსული ბომბებისგან მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება

იდლიბის პროვინციაში ასადის არმიის წინსვლა გრძელდება. დიქტატორის მომხრე ფორმირებები სოფელს სოფელზე იკავებენ. ასადის არმიის შეტევა რუსული ავიაციის მხარდაჭერის ფონზე მიმდინარეობს. ავიაცია ბომბავს სოფლებს, სადაც სირიელი პარტიზანები არიან გამაგრებული.

დაბომბვების შედეგად 20 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი იოფისშისამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უხშირი, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

შენგელია ევროპაში გამოარჩიეს

ევროპის ქვეყანაზე გლობალურმა საკალათბურთო ვებგვერდმა ევრობასკეტმა 2017 წელი შეაჯამა, გამოავლინა საუკეთესო მოთამაშეები და ხუთეულები, სადაც ქართველი კალათბურთელი, თორნიკე შენგელია საკმაო ღირსებით ფიგურირებს.

საუკეთესონი ევროპაში მოთამაშეთაგან

2017 წელს ევროპაში მოთამაშე საუკეთესო კალათბურთელად სერბი ბოგდან ბოგდანოვიჩი დასახელდა, რომელმაც ნაკრებს ევრობასკეტზე ვერცხლი მოუტანა, ხოლო ფენერბაჰჩეს – ევროლიგა მოაგებინა. იგი ამჟამად საკრამენტოს ღირსებას იცავს.

ევროპაში მოთამაშეთა პირველ ხუთეულში მოხვდნენ: ბოგდანოვიჩი, ლუკა დონჩიჩი (სლოვენია), ნანდო დე კოლო (საფრანგეთი), გეორგიოს პრინტეზისი (საბერძნეთი), ეკპე ადო (ნიგერია/აშშ).

ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია ევროპაში მოთამაშეთა მეორე ხუთეულში მოხვდა: მილოშ ტეოდოშიჩი (სერბეთი), კეიტ ლენგფორდი (აშშ), ალექსეი შვედი (რუსეთი), თორნიკე შენგელია (საქართველო) და იან ვესელი (ჩეხეთი).

ევროპის საუკეთესო მწვრთნელად ჩვენი ძველი ნაცნობი, საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი დასახელდა.

საუკეთესონი ევჩოპა/ნბა

2017 წლის საუკეთესო ევროპელი კალათბურთელი სლოვენიის ნაკრების ლიდერი გორან დრაგიჩი გახდა.

სიმბოლური ნაკრები კი ასეთია: გორან დრაგიჩი (სლოვენია), ბოგდან ბოგდანოვიჩი (სერბეთი), იანის ანტეტოკუნმპო (საბერძნეთი), კრისტაპს პორზინგისი (ლატვია), რუდი გობერი (საფრანგეთი).

მეორე სიმბოლური: დენის შრიოდერი (გერმანია), ევან ფურნიე (საფრანგეთი), ნანდო დე კოლო (საფრანგეთი), ნიკოლა იოკიჩი (სერბეთი), მარკ გასოლი (ესპანეთი).

ასევე, შედგა საპატიო ათეული, სადაც თორნიკე შენგელია ისეთ ვარსკვლავებთან ერთადაა, როგორებიც არიან: ლუკა დონჩიჩი, ნიკოლა ბატუმი, ნიკოლა ვუჩევიჩი, იან ვესელი, ნიკოლა მიროტიჩი, იონას ვალანჩიუნასი, პაუ გასოლი, დარიო სარიჩი, მილოშ ტეოდოშიჩი, ალექსეი შვედი.

როგორც ხედავთ, ამ ათეულიდან მხოლოდ შენგელია, დონჩიჩი და შვედი არ არიან ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ბინადარნი. საქმე ისე მიდის, რომ არ არის გამორიცხული, მომავალი სეზონიდან თოკოც შეუერთდება ნბა-ელთა მრავალრიცხოვან თანავარსკვლავედს.

დინამოს მოულოდნელი მარცხი

მგზავრები-დინამო 75:68

(17:17, 25:12, 16:24, 17:15)

ტური მატჩები გვარიანი მოულოდნელობით დამთავრდა. ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა და მიმდინარე სუპერლიგის ერთპიროვნულმა ლიდერმა დინამომ ერთ-ერთ აუტსაიდერთან წააგო. დინამოელებს მიმდინარე სუპერლიგაში ერთადერთი მატჩი, ისიც 1 ქულით, ქუთაისში ჰქონდათ წაგებული, მგზავრებთან ირაკლი ხოშტარიას გუნდმა მეორე შეხვედრა დათმო.

მატჩის პირველმა მეოთხედმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, ხოლო მეორეში ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა იძალეს და მეტოქეს ჯერ 10 ქულით გაექცნენ, შემდეგ კი, დიდი შესვენებისთვის 42:29 დაწინაურდნენ. მესამე პერიოდიდან ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა დინამოელებმა თამაში გამოასწორეს და ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირეს (51:53), მაგრამ მგზავრებმა იქვე მოუმატეს და მესამე მეოთხედის შემდეგ ბერიშვილის გუნდი 60:55 იგებდა.

გადამწყვეტ პერიოდში თანაბარი თამაში გაგრძელდა. მგზავრები უპირატესობას არ თმობდნენ და შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კვლავ 5 ქულით – 63:58 იგებდნენ. რის შემდეგ ავთანდილ ლომინაშვილისა და ადრიან ბოუის შედეგიანობით მგზავრებმა 1 წუთში 5 ქულა მიითვალა და 68:58 დაწინაურდა. დარჩენილ დროში დინამოელებმა ვერაფერი შეცვალეს. ბოლომდე მებრძოლმა მგზავრების მოთამაშეებმა ლიდერობა შეინარჩუნეს და მიმდინარე ჩემპიონატში მე-4 გამარჯვება მოიპოვეს.

გამარჯვებულთაგან 20 ქულით და 7 მოხსნით საუკეთესო იყო ავთანდილ ლომინაშვილი. 16-16 ქულა დააგროვეს ადრიან ბოუიმ და კახა ჯინჭარაძემ, ხოლო ბერნარდ ნკალის ანგარიშზე 11 ქულა და 14 მოხსნა დაგროვდა. დინამოში 18 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო ილია ლონდარიძე. მეორე დინამოელი, რომელმაც 10-ქულიან ზღვარს მიაღწია, ლევან ფაცაცია იყო 11 ქულით.

ჯაკტუსი-ხუსთავი 64:61

(16:13, 19:15, 15:14, 14:19)

რუსთაველებმა წინა მატჩში შინ ერთ-ერთი ლიდერი ქუთაისი დაამარცხეს და თბილისშიც, ცხადია, მოსაგებად ჩამოვიდნენ, თუმცა არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსმა არაფერი დათმო და ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.

შეხვედრა მწირექულიანი გამოდგა, რაც ერთი მხრივ, კარგი დაცვითი თამაშის, ხოლო მეორე მხრივ, შეცდომების ბრალი იყო. ამერიკელი ლეგიონერის, ტერიკ ბრიჯმენის შემატების შემდეგ კაკტუსი გვარიანად გაძლიერდა და ბოლოდროინდელი მოგებების შემდეგ, ცხრილში დაწინაურდა. ამ მოგებული შეხვედრის შემდეგ კაკტუსელებმა 7 მოგება და ამდენივე წაგება დააგროვეს და ლიდერებს მიუახლოვდნენ.

რამაზ გოგობერიშვილის გაწვრთნილი რუსთავი სულ მდევრის როლში იყო. მესამე მეოთხედში კაკტუსელთა ლიდერობა 10 ქულას ასცდა, თუმა, დასკვნით ათწუთეულის წინ ეს სხვაობა ოდნავ შემცირდა – 50:42.

ბოლო ათწუთეულში მედგარი დაცვის ხარჯზე ქვემოქართლელებმა მოახერხეს ჩამორჩენის 2 ქულამდე შემცირება. ანგარიში 59:57 იყო და დასრულებამდე 2 წუთი რჩებოდა, თუმცა კაკტუსის მოთამაშეებმა მობილიზება შეძლეს და გამარჯვებამდე მივიდნენ. რუსთავს ბოლო წამებზე შეეძლო თამაშის ოვერტაიმში გადაყვანა, თუმცა ვერც ტაირელ ნელსონმა და ვერც ადამ ბლეიზეკმა სამქულიანი ვერ ჩააგდეს და მატჩი თბილისელთა სასარგებლოდ დასრულდა – 64:61.

კაკტუსში საუკეთესო იყო ტერიკ ბრიჯმენი, რომელმაც 15 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა. 15 ქულა მოინაგრა დეანდრე პარკსმაც. 10 ქულა და 10 მოხსნა გიორგი ტურძილაძის ანგარიშზე დაგროვდა. რუსთაველთაგან 24 ქულითა და 14 მოხსნით ტაირელ ნელსონი გამოირჩა. 14 ქულა ადამ ბლეიზეკმა მოინაგრა, ხოლო პოლ კუპერმა პირად ანგარიშზე ორმაგი დუბლი – 10 ქულა და 17 მოხსნა ჩაიწერა.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	13	10	3	1113:1002	23
2.დინამო	12	10	2	1013:862	22
3.კაკტუსი	14	7	7	1082:1130	21
4.რუსთავი	13	8	5	1041:981	21
5.ოლიმპი	13	8	5	1033:955	21
6.ბათუმი	13	7	6	995:918	20
7.მგზავრები	13	5	8	984:1077	18
8.დელტა	13	3	10	997:1122	16
9.სოხუმი	14	1	13	1029:1240	15

მანჩესტერი გრიზმანთან და ლუისთან მოლაპარაკებებს შეუდგა

მას შემდეგ, რაც კოუტინიო ბარსელონაში გადავიდა, სულ უფრო აქტიური ხდება ჭორები იმის შესახებ, რომ მიმდინარე სატრანსფერო ფანჯრის დროს ატლეტიკოს ფრანგი ფეხბურთელი ანტუან გრიზმანი გუნდს შეიცვლის. მისი დაკავშირება კი ინგლისურ გრანდთან მანჩესტერ იუნაიტედთან ხდება.

როგორც ირკვევა, ანტუანის გადაბირების შესახებ 2 კლუბს შორის მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს, თუმცა შესათანხმებელი რჩება ისეთი მნიშვნელოვანი დეტალი, თუ გრიზმანის მომავალი ანაზღაურება როგორი იქნება „ოლდ ტრაფორდზე“.

ბრიტანული მედიის ცნობით, თავად ფეხბურთელს „წითელი ეშმაკების“ ხელმძღვანელობისგან, ხელფასის სახით, კვირაში 450.000 ევრო სურს, ხოლო კლუბის შეთავაზება ამ ეტაპზე 325.000 ევროა კვირაში. დათანხმდებიან თუ არა იუნაიტედის მესვეურები ფრანგის მოთხოვნილებებს, ამ ეტაპზე უცნობია.

მიმდინარე კონტრაქტი გრიზმანს მადრიდულ კლუბთან 2022 წლამდე აკავშირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ „წითლებს“ მისი ყიდვის შემთხვევაში ამ ხელშეკრულების ბოლომდე გამოსყიდვა მოუწევთ.

ლა ლიგის ამ სეზონში 26 წლის ფეხბურთელის ანგარიშზე 5 გოლი და 4 საგოლე პასია.

მანჩესტერი ასევე ლონდონის ჩელსის ბრაზილიელი მცველით, დავიდ ლუისით ინტერესდება. ჟოზე მოურინიოს ინტერესთა სფეროში ლუისი დროის გარკვეული პერიოდია იმყოფება, ხოლო ტრანსფერი შესაძლოა ამ თვეშივე შედგეს.

მხარეებს შორის მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია, თუმცა დეტალები ამ ეტაპზე გულშემატკივრებისთვის უცნობია. ბრაზილიელი, ლონდონურ კლუბში სათამაშო დროის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამს და მზად არის კლუბი შეიცვალოს, თუ მომავალი გუნდი მას სრულ სათამაშო დროს მისცემს.

იუნაიტედის გარდა, ბრაზილიელი მცველის გადაბირებას, პრემიერლიგის სხვა გუნდებიც ცდილობენ, როგორებიც: ლონდონის არსენალი და ნიუკასლია.

გეტყვით, რომ ფეხბურთელსა და მის ამჟამინდელ მწვრთნელ ანტონიო კონტეს შორის, დაპირისპირების შედეგად მოხდა ისე, რომ ლუსიმა საბოლოოდ დაკარგა გუნდში ძირითადი ადგილი და სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. ფეხბურთელი ამის შეგუებას არ აპირებს და გადაწყვეტილი აქვს, მისი ლონდონური კარიერა დაასრულოს და გუნდი გამოიცვალოს.

ნორიაკი კასაი ნინო სალუქვაძეს გაუთანაბრდება

კვლავ მწყობრშია იაპონელი ტრამპლინიდან მხტომელი ნორიაკი კასაი, რომელიც პიონჩანის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. 45 წლის მხტომელისთვის ეს იქნება მე-8 ოლიმპიური თამაშები, რაც სპორტის ამ სახეობის წარმომადგენელთათვის რეკორდული მაჩვენებელია.

ნორიაკი კასაი გუნდურ პირველობაში ლილეჰამერის (1994) ზამთრის თამაშების ვერცხლის და სოჭის (2014) ოლიმპიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელია, შესაბამისად – პირად და გუნდურ პირველობაში.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ნორიაკი კასაის სათხილამურო სპორტის სახეობებში მსოფლიო თასის ეტაპებზე სტარტების რეკორდული რაოდენობისთვის (535) გინესის რეკორდების სერტიფიკატიც გადაეცა (1989-2017 წლების სეზონი). მასვე ეკუთვნის 35 წელს გადაცილებულ სპორტსმენთა შორის რეკორდული ნახტომი – 241,5 მეტრი, რომელიც შარშან შეასრულა. ამასთან, იაპონელი ტრამპლინიდან ყველაზე ასაკოვანი მხტომელია, რომელმაც ზამთრის ოლიმპიადებზე მედალი მოიპოვა. ასევე, იგი გახლავთ მსოფლიო თასის ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებული (პირადში) და მონაწილეც.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ათგზის მონაწილეობით აბსოლუტური რეკორდსმენია კანადელი ცხენოსანი იან მილარი, ოლიმპიურ თამაშებზე ცხრაჯერ უასპარეზია 2 სპორტსმენს, ხოლო რვაგზის ოლიმპიელთა სია, ჯერჯერობით, 9 სპორტსმენს ითვლის. მათ შორისაა ტყვიის სროლაში სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, იმავე თამაშების ვერცხლისა და პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლის მფლობელი ნინო სალუქვაძე.

ფაჩულიამ და გოლდენმა ისევ მოიგეს

ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა ნბას რეგულარული სეზონის მორიგი შეხვედრა დენვერ ნაგითსის წინააღმდეგ გამართა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

ქართველი ცენტრის გუნდმა ამჯერად შინ იმარჯვა და დენვერელები ათქულიანი სხვაობით – 124:114 დაამარცხა. ფაჩულია სასტარტო შემადგენლობაში იმყოფებოდა და პარკეტზე 12 წუთი გაატარა. მოედანზე გატარებულ დროში კი ქართველმა კალათბურთელმა 4 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მიითვალა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გოლდენ სტეიტის ლიდერი სტეფ კარი იყო, რომლის ანგარიშზეც 34 წუთში 32 ქულა, 4 მოხსნა და 9 პასია.

მომდევნო შეხვედრას ზაზა ფაჩულიას გუნდი ლოს ანჯელეს კლიპერსის წინააღმდეგ გამართავს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

შედეგები

8 იანვარი

ფეხბურთი

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

მალაგა-ესპანიოლი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	18	15	3	0 48-7	48
2.ატლეტიკო	18	11	6	1 27-8	39
3.ვალენსია	18	11	4	3 38-18	37
4.რეალი	17	9	5	3 32-16	32
5.სევილია	18	9	2	7 23-27	29
6.ვილიარეალი	18	8	4	6 25-21	28
7.ეიბარი	18	8	3	7 24-30	27
8.ბილბაო	18	6	6	6 20-19	24
9.ლეგანესი	17	7	3	7 13-14	24
10.ბეტისი	18	7	3	8 30-34	24
11.ხეტაფე	18	6	5	7 22-18	23
12.სოსიედადი	18	6	5	7 31-30	23
13.ესპანიოლი	18	6	5	7 15-21	23
14.ხირონა	18	6	5	7 22-28	23
15.სელტა	18	6	4	8 32-27	22
16.ლევანტე	18	3	9	6 15-25	18
17.დეპორტივო	18	4	4	10 20-35	16
18.ალავესი	18	5	0	13 13-27	15
19.მალაგა	18	3	2	13 13-32	11
20.ლას პალმასი	18	3	2	13 14-40	11

საფრანგეთი. თასი

ლანსი-ბულონი ..... 3:2(დდ)

ჰოკეი. ჰიმეიჩა ლიგა

ფერეირა-პორტიმორენშე 1:1

საბეისბოლო. სუპერლიგა

აპოლონი-ატრომიტოსი 0:3

ბარსელონამ ფილიპე კოუტინიო წარადგინა

ლივერპულიდან 160 მილიონ ევროდ შეძენილმა ბრაზილიელმა შემტევმა ნახევარმცველმა ფელიპე კოუტინიომ კატალონიურ გრანდთან კონტრაქტი 2023 წლამდე გააფორმა, რის შემდეგაც „ნოუ კამპზე“ გულშემატკივრების წინაშე წარდგა, ბურთი კარგად აკენწლა (დემბელესგან განსხვავებით), მერე კი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კოუტინიოს პრეზენტაციამ საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. „კამპ ნოუზე“ მის სანახავად 7.436 მაყურებელი მივიდა. აღსანიშნავია, რომ ბარსას ქომაგები 25 წლის ახალწვეულს უშუალოდ საქმეში ჯერ ვერ ნახავენ – კოუტინიო ტრავმირებულია და დაახლოებით 3 კვირა ვერ ითამაშებს.

– რატომ ოცნებობდით ბარსელონაში გადმოსვლაზე?

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყველაზე ადვილია – იმიტომ, რომ ეს ბარსაა! მსოფლიოში საუკეთესო და უძლიერეს გუნდში თამაშზე უკეთესი რა უნდა იყოს და როგორ შეიძლება, რომ ფეხბურთელი ამაზე არ ოცნებობდეს? ჩემთვის დიდი პატივია, რომ ლიონელ მესის თანაგუნდელი ვიქნები. მოკლედ, ოცნება ამისრულდა და იმედი მაქვს, ბარსასთან ერთად ბევრ ტიტულს მოვიგებ.

– ბარსაში თქვენს პოზიციაზე ინიესტა თამაშობს, როგორ ფიქრობთ, რა ადგილზე ითამაშებთ ბარსაში?

– ბედნიერი ვარ, რომ ანდრეს ინიესტას თანაგუნდელი ვიქნები. ჩემთვის ის გენიოსია. რაც შეეხება ჩემს საყვარელ პოზიციას: როგორც იცით, რამდენიმე პოზიციაზე შემიძლია თამაში. მინდა, რომ ბარსასთვის ყველაფერი გავაკეთო და გუნდს ტიტულების მოპოვებაში დავეხმარო. ბარსელონაში თამაშზე დიდხანს ვოცნებობდი და უბედნიერესი ვარ, რომ ეს ოცნება ამიხდა. დანარჩენი მწვრთნელის გადასაწყვეტია!

– ლივერპულიდან თქვენი გამოშვება არ უნდოდათ.

– ლივერპულის გულშემატკივრებს და ხელმძღვანელებს ყველაფრისთვის დიდ მადლობას ვუხდი. მართალია, „ენფილდზე“ ვერც ერთი დიდი ტიტული ვერ მოვიგე, მაგრამ ეს იყო გუნდი და ქალაქი, სადაც მე და ჩემი ოჯახი ბედნიერები ვიყავით. იმედი მაქვს, რომ ბარსელონაში აკლიმატიზაცია დიდხანს არ გამიგრძელდება. ბარსელონაში ჩამოსვლამდე არაერთხელ ვესაუბრე ჩემს ყოფილ თანაგუნდელ ლუის სუარესს და თანამემამულე პაულინიოს. მათ კარგის მეტი არაფერი უთქვამთ.

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, ჟურნალისტებთან ბარსელონას პრეზიდენტმა ხოსეპ მარია ბარტომეუმაც ისაუბრა. მისი თქმით, ბარსამ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის გადაბირება შეძლო.

ხოსე მარია ბარტომეუ:

– ბარსელონას გულშემატკივრებისთვის მნიშვნელოვანი დღეა. ამ ტრანსფერზე ძალიან დიდხანს ვმუშაობდით. ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი დავიმატეთ. ვფიქრობ, რომ ფელიპე ბარსელონაში თავის საუკეთესო თვისებებს კიდევ უფრო კარგად წარმოაჩენს. კოუტინიოს გადაბირება სხვა გრანდებსაც სურდათ და მიხარია, რომ მან არჩევანი ბარსელონას სასარგებლოდ გააკეთა. მინდა, ლივერპულის ხელმძღვანელებს მადლობა გადავუხადო. ლივერპული ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. საბედნიეროდ, ყველაფერზე შევთანხმდით და კოუტინიო ბარსას ფეხბურთელი გახდა.

ჯერჯერობით უცნობია, რომელი ნომრით ითამაშებს კოუტინიო ბარსელონაში.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

კალეიდოსკოპი

დონალდ ტრამპმა საკუთარი დღის გრაფიკი შეცვალა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ახლა უკვე თავის სამუშაო დღეს ადრინდელზე გვიან იწყებს და უფრო მეტ დროს ატარებს ტელევიზორთან და ტვიტერში. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი პორტალი თეთრ სახლთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

პორტალის მონაცემებით, დილის 8:00 საათიდან 11:00 საათამდე დროს პრეზიდენტი ოვალურ კაბინეტში „სამუშაო საკითხების გადაწყვეტას ანდომებს“. თუმცა, როგორც ინფორმირებულმა წყარომ განაცხადა, ეს იმას ნიშნავს, რომ ტრამპი ტელევიზორის ყურებით, სატელეფონო ზარებით და ტვიტერითაა დაკავებული.

11:00 საათზე ქვეყნის მეთაური დაზვერვის ბრიფინგზე მიდის. ჩვეულებრივ ტრამპის სამუშაო დღე 18:00 საათზე სრულდება. ამის შემდეგ ის საკუთარ რეზიდენციაში მიემართება. პორტალი აღნიშნავს, რომ დღის განმავლობაში პრეზიდენტი ერთ-ორ შეხვედრას მართავს, ტელეფონზე რამდენიმე სამუშაო საუბარს აწყობს და პარალელურად ტელევიზორში ახალ ამბებს უყურებს.

თეთრი სახლის პრეს-მდივანმა სარა სანდერსმა პორტალს განუმარტა, რომ დილის საათებში ტრამპი ჩვეულებრივ კონგრესმენებს, მინისტრებს და უცხოელ ლიდერებს ურეკავს.

ამერიკაში ზვიგენები გაიყინნენ

ორი სასიკვდილოდ გაყინული მელოტი ზვიგენი აღმოაჩინეს აშშ-ის ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ამ შემთხვევის თაობაზე ინფორმაცია თეთრი ზვიგენების დაცვის ჯგუფმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

მტაცებელი თევზები მასაჩუსეტსში კეიპ-კოდის ყურეს სანაპიროზე შემთხვევითმა გამვლელმა აღმოაჩინა. ისინი მამრები აღმოჩნდნენ, თითოეულის სიგრძე ოთხ მეტრს აღწევდა.

ორგანიზაციის თანამშრომლებმა მკვდარი ზვიგენების ქსოვილის ნიმუშები გამოსაკვლევად აიღეს. სავარაუდოდ, ისინი ანომალიური ყინვების გამო დაიღუპნენ. ბოლო დღეებში შტატში 20 გრადუსიანი ყინვები იყო.

მელოტი ზვიგენები, ანუ ზღვის მელიები ბინადრობენ როგორც ტროპიკულ, ისე ზომიერ წყლებში. როგორც წესი, ისინი ღია ზღვაში დაახლოებით 500 მეტრის სიღრმეზე დაცურავენ და ძალიან იშვიათად ჩნდებიან სანაპირო ზოლში.

საჰარაში თოვლი მოვიდა

ალჟირის ქალაქ აინ-სეფრაში, რომელიც საჰარის უდაბნოში მდებარეობს, ზედიზედ მეორე წელია თოვლი მოვიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

თოვლი კვირა დილას მოვიდა. მისმა სიმაღლემ დაახლოებით 40 სანტიმეტრი შეადგინა, თუმცა უკვე საღამოსთვის მთლიანად დადნა, ვინაიდან ჰაერის ტემპერატურა დაახლოებით პლუს ხუთ გრადუსს შეადგენდა.

ფოტოგრაფმა კარიმ ბოუჩატატამ უჩვეულო სანახაობა გადაიღო და ფოტოსურათები ტვიტერში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ბოლო 37 წლის განმავლობაში საჰარის უდაბნოში თოვლი მესამედ მოვიდა. ბოლოს ეს 2016 წლის ბოლოს მოხდა. მაშინ თოვა მთელი დღე-ღამე გრძელდებოდა, ხოლო ადგილობრივები გაოცებულნი იყვნენ ამინდის ანომალიური მოვლენით.

შეგახსენებთ, რომ საჰარა დედამიწის უდიდესი უდაბნოა. მას აფრიკის კონტინენტის ტერიტორიის დაახლოებით ოცდაათი პროცენტი უჭირავს, მისი ფართობი კი ცხრა მილიონ კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. უდაბნოს სხვადასხვა რაიონებში ნალექების წლიური რაოდენობა 80-დან 100 მილიმეტრამდე შეადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ასტროპროგნოზი

10 იანვარი

ჯერაჟი – სერიოზული პროვოკაციებისა და გაუგებრობების დღეა. თავი შეიკავეთ მკვეთრი გამონათქვამებისაგან. **ჯურო** – მერკურის რეგრესული მოძრაობის გამო აქტიურობა დაუშვებელია. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ბყუპები** – ნუ იაქტიურებთ, თორემ მატერიალურად დაზარალდებით. დღის პირველ ნახევარში თავს იჩენს უთანხმოება ხელმძღვანელ პირებთან. **ქირჩხიბი** – უინტერესო საქმით ხართ დაკავებული. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ლომი** – მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად შეუფერებელი პერიოდია. ახლობელი ადამიანის მიერ გამოხატული პრეტენზიები სკანდალს შექმნის. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. შესაძლოა ტყუილუბრალოდ დაგადანაშაულონ. ემოციები მოთოკეთ. **სასწორი** – მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მშვენიერი შანსი გეძლევათ. შორსმჭვრეტელობა დღის დევიზია. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. ამის მიუხედავად, საღამოს საკუთარი თავით უკმაყოფილო დარჩებით. სიტუაციას ნუ გაართულებთ. **მშვილდოსანი** – იყავით თავდაჯერებული და საქმიანი. თუმცა ზედმეტი აქტიურობა საჭირო არ არის. **თხის რქა** – წინააღმდეგობრივი დღეა. ელოდეთ სერიოზულ პროვოკაციებს. სკანდალს თავიდან აირიდებთ, თუ კეთილგონიერებას გამოიჩენთ და ემოციებს არ აჰყვებით. **მერწყული** – დაძაბული ხართ, რადგან ცდილობთ, ყველა პრობლემა ერთბაშად მოაგვაროთ. აჩქარებით საქმეს მხოლოდ გააფუჭებთ. **თევზები** – სასიცოცხლო პოტენციალი მცირდება. სუსტდება აურა. დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხლი ბ



შვეულად: 1. ქართველი პრიმაბალერინა; 2. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 3. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული რუმინეთში; 5. ქალაქი სამეგრელოში; 8. ბალეტ „დონ კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 9. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 12. მდგომარეობა კრივში; 13. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტა; 16. მდინარე გაგრაში; 17. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 19. მონასტერი სამაჩაბლოში; 20. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში.

თარაზულად: 6. მთიანეთი ავღანეთში; 7. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 8. საქარგავი ფერადი ძაფი; 10. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. სოფელთა სახელწოდება ესტონეთში; 14. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 15. თვალის ექიმი; 18. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 21. შავი ზღვის ზვიგენი; 22. სპორტის სათამაშო სახეობა; 23. მთიანეთი ევროპაში; 24. მსხვილი მემამულე ინდოეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სიესტა; 2. ბეკინა; 3. სახარება; 4. არმაზი; 6. ტოპონიმი; 8. „დროება“; 11. ხამანწკა; 12. კონიაკი; 16. ფრაზა; 17. ხომლი; 18. იპონი.

თარაზულად: 1. სორბიტი; 5. სკოტი; 7. ლახვარი; 9. სტაიერი; 10. ბაჯაღლო; 13. ბამბუკი; 14. ზარზმა; 15. ჟოქო; 19. ქირურგი; 20. ხოზაფინი; 21. წალენჯიხა; 22. ბარონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პლანიცა; 2. „ამსტელი“; 3. დისკუსია; 4. სულორი; 5. ხარფუხი; 8. პირუეტი; 9. შერატონი; 12. ტრაპეცია; 13. ბოჰემია; 16. ბასტილია; 17. ბარტერი; 19. ოფურო; 20. კორიფე.

თარაზულად: 6. ელარმისტი; 7. შუცმანი; 8. პიკასო; 10. „ზინგერი“; 11. ბუკე; 14. ოპონენტი; 15. სანთიობო; 18. ნასერი; 21. „ფაიზერი“; 22. „ტოსკა“; 23. ოპიუმი; 24. „ჯამბაზები“.

ელისაბედ I-ის სამეფო კანცელარიის დოკუმენტებში საქართველოზე უნიკალური მასალები აღმოაჩინეს

ელისაბედ I-ის სამეფო კანცელარიის დოკუმენტებში საქართველოზე უნიკალური მასალებია შემონახული. ამის შესახებ ინფორმაციას ისტორიკოსი გიორგი კალანდია ავრცელებს, რომელმაც ირლანდიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს შესახებ აქამდე უცნობი დოკუმენტები აღმოაჩინა:

– დავასრულეთ მუშაობა წიგნზე „ერეკლე მეფე ბრიტანულ და ირლანდიურ პრესაში“, ფონდ „ქართუს“ თანადგომით მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე მომზადებული ნაშრომი უკვე გამოიცა.

წიგნის პრეზენტაცია გაზაფხულზე ხელოვნების სასახლეში გაიმართება, მანამდე კი არ ვჩერდებით და მუშაობას ვაგრძელებთ ირლანდიის ეროვნული ბიბლიოთეკიდან ჩამოტანილ ახალ საარქივო დოკუმენტებზე.

ჰოდა, მართლაც რომ უნიკალური მასალებია, ალბათ ვერ წარმოიდგენთ, მაგრამ ელისაბედ I-ის სამეფო კანცელარიის დოკუმენტებში საქართველო მოიხსენიება, ამ პერიოდის ინგლისელმა დიპლომატებმა ჩვენი ქვეყნის შესახებ იციან და უფრო მეტიც, როგორც ჩანს, კარგად იცნობენ კიდეც ჩვენს ბრძოლას სპარსელთა წინააღმდეგ!

წყაროების უმეტესობა მე-16 საუკუნით თარიღდება, სამეფო კანცელარიაში ცნობები გროვდებოდა და გადაეცემოდა ინგლისის სახელმწიფოს უმაღლეს პირებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ინგლისისა და ირლანდიის დედოფალს ელისაბედს!

ასე რომ, მალე ახალი ნაშრომით მოგიყვებით ახალ, დღემდე უცნობ ისტორიას, ანუ „ცნობები საქართველოს შესახებ ბრიტანეთის მონარქთა სამეფო კანცელარიიდან“. როგორც კი საშუალება მექნება, დროდადრო თარგმნილ და მეცნიერულად დამუშავებულ ცნობებს ჟურნალ „ისტორიანში“ გამოვაქვეყნებ. ვიცი, ცნობების გამოქვეყნება ბევრს გაახარებს, ზოგი კი უმიზეზოდ გაგვაკრიტიკებს, დაახლოებით ისე, როგორც ერეკლეს შემთხვევაში იყო, მაშინ ერთი „ისტორიკოსი“ ჯერ კიდევ გამოუცემელი და წაუკითხავი წიგნის შინაარსს გვიწუნებდა... თუმცა ეგეთები არ გვაშინებს, პირიქით, გვაძლიერებს!

ერთვნულმა არქივმა ათასობით დოკუმენტს რესტავრაცია ჩაუტარა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა ათასობით დოკუმენტს რესტავრაცია ჩაუტარა და განადგურებას გადაარჩინა.

გასულ წელს დოკუმენტების რესტავრაციის ლაბორატორიაში სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა 22 126 ქაღალდისა და 48 ეტრატის ფურცელს, 1196 ფოტოპოზიტივს, 16 რუკას, 86 ტექნიკურ ნახაზს, 5 აფიშას, 136 გაზეთს, 1 წიგნსა და სხვა საარქივო მასალას.

რესტავრირებულ დოკუმენტებს შორის არის საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცული XVIII-XIX საუკუნეების 250-მდე საბუთი, მათ შორის მეფეების სიგელები, წყალობის, ნასყიდობის წიგნები, განაჩენები, სხვა ისტორიული საბუთები.

სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდის დოკუმენტებსაც.

რესტავრირებულ დოკუმენტებს შორისაა ჟორჟ ბიზეს ოპერა „კარმენის“ კლავირი, აკაკი შანიძის მიერ შედგენილი ქართული ენის გრამატიკის პროგრამები, სახელმძღვანელო გეგმები, ჩანაწერები ექსპედიციის შედეგების გამოცემისათვის...

რესტავრირებული ფოტოდოკუმენტებიდან აღსანიშნავია ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის გახსნის ფოტოალბომები.

ბოლო წლებში ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორია თანამედროვე სტანდარტების აპარატურითა და ინვენტარით აღიჭურვა, რაც შესაძლებელს ხდის კიდევ უფრო მაღალი დონის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებას და რესტავრატორთათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

საძგერის წმინდა გიორგის ეკლესიას ქვის სახურავი მოხსნეს და იატაკის ფილებად გამოიყენეს

ამ ინფორმაციას ინტერნეტში ნესტან ბლუაშვილი ავრცელებს და სადგერის ეკლესიის რამდენიმე დღის წინ გადაღებულ ფოტოებს ავრცელებს:

– მეშვიდე საუკუნის სადგერის წმინდა გიორგის ეკლესია.

უძველესი ქვის სახურავი მოხსნეს და იატაკის ფილებად გამოიყენეს და მეტალოპლასტმასით გადახურეს.

სიბრძნეა საკურნელი...

ეკლესია არის საოცრება...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მსახიობი აბრეკ ფხალაძე გარდაიცვალა



97 წლის ასაკში მსახიობი აბრეკ ფხალაძე გარდაიცვალა.

„მეტიჩარა“ „შერეკილები“, „ადამიანთა სევდა“, სამოთხის გვრიტები“ – ეს იმ ფილმების არასრული ჩამონათვალია, რომლებშიც მსახიობმა მონაწილეობა მიიღო.

მისი ფრაზა „აბი გლუკოზა“ ელდარ შენგელაიას ფილმიდან „შერეკილები“ მსახიობის სავიზიტო ბარათად იქცა. კინოს პარალელურად, უხუცესი მსახიობი თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის წამყვანი მსახიობი იყო.

ინფორმაცია მსახიობის გარდაცვალების შესახებ თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა გაავრცელა:

– ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 97 წლის ასაკში გარდაიცვალა თეატრის ყოფილი წამყვანი არტისტი, თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი აბრეკ ფხალაძე და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აბრეკ ფხალაძე ცნობილი ქართველი მომღერლის ნუცა შანშიაშვილის ბაბუა იყო:

– გარდაიცვალა ჩემი გენიალური ბაბუა, ლეგენდა აბრეკ ფხალაძე... რომელმაც გადაიტანა ომი, კონცლაგერი, გადარჩა და საბოლოოდ გახდა უნიკალური იოგი... მასწავლებელი. მახსოვს, მეუბნებოდა, მე ვიცი, როდესაც უნდა დავტოვო ეს სამყარო და სანამ აქ ვარ, ბევრს უნდა ვასწავლო და გადავცე ჩემი ტექნიკა, სიბრძნის და იოგის... უნიკალური მსახიობი.

ხატია ბუნიათიშვილსა და შარლ აზნავურს ფრანგულმა ტელევიზიამ გადაცემა მიუძღვნა

მსოფლიოში აღიარებულ ქართველ პიანისტს ხატია ბუნიათიშვილს და ცნობილ მომღერალ შარლ აზნავურს საფრანგეთის ტელევიზიამ „ფრანსე 2“ გადაცემა მიუძღვნა.

შარლ აზნავურმა გადაცემის წამყვანთან თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მომენტებზე ისაუბრა, განაცხადა, მამაჩემი საქართველოდან იყოო, არც მისი მეგობარი სერჟ დავრიშევი დავიწყნია. მომღერალმა გაიხსენა საქართველოში ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც ახალციხეში გაიმართა.

გადაცემის მეორე სტუმარი, პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი იყო, რომელმაც თავისი არაჩვეულებრივი შესრულებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნიჭიერებას საზღვრები არ აქვს.

გია ყანჩელს კატარაქტის ოპერაცია გაუკეთეს

კომპოზიტორსა და საქართველოს სახალხო არტისტს, გია ყანჩელს კატარაქტის ოპერაცია წარმატებით ჩაუტარდა.

კატარაქტის ოპერაცია გულისხმობს მხედველობის სიმახვილის დაბრუნებას რამდენიმე წუთში, რომლის დროსაც ხდება ძველი, შემღვრეული ბროლის შეცვლა ახალი, ხელოვნური ბროლით.

ოპერაცია „ნიუ ჰოსპიტალსის“ ოფთალმოლოგიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მიშა ომიაძემ ულტრათანამედროვე ფაკოემულსიფიკაციის მეთოდით შეასრულა.

გია ყანჩელი:

– ოპერაცია ბევრად მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა. ყველა ასაკოვანი ადამიანი იმსახურებს სრულფასოვან მხედველობას იმისთვის, რომ უკეთესად დაინახონ შვილები და შვილიშვილები, გაიზიარონ მათი წარმატება და სიხარულის ემოციები, უბრალოდ არ დათმონ მრავალფეროვანი სიცოცხლით ცხოვრების უფლება.

სამგლოვიარო განცხადებები

გია ნამგალაძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბრწყინვალე მეგობარი და კოლეგა, პროფესორი

ნოდარ კივილაძე

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

მამა ბიძინა სხირტლაძე მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შვილი

ლალი სხირტლაძე

ავთანდილ ცუცქირიძის ცად ამაღლება



40 დღე შესრულდა, რაც მიწიერ სამყაროს დაემშვიდობა და ზეციურ საქართველოს შეუერთდა ერთ-ერთი გამორჩეული მამულიშვილი, რაინდი, უაღრესად განათლებული, ძირძველი თბილისელი კაცი. კაცი მართალი, კაცი ნათელი; ძმობისა და ნათესაობის, ვაჟკაცობის, სინდის-ნამუსის სამაგალითოდ მატარებელი; დიდი თბილისელი და დიდი მთაწმინდელი, ავთანდილ გიორგის ძე ცუცქირიძე.

იგი დაიბადა და აღიზარდა მთაწმინდაზე. და-ძმა ცუცქირიძეები გიორგი ცუცქირიძის მეთაურობით იზრდებოდნენ ვეძინის ქუჩაზე მდებარე კოპწია, ბანიან სახლში, ნამდვილ ტრადიციულ ქართულ ოჯახში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამაგალითო ძმობა და მეგობრობა ავთანდილსა და თეიმურაზს შორის. მათმა უეცარმა განშორებამ (თეიმოს გარდაცვალებამ) ასე მოუსწრაფა სიცოცხლე ბატონ ავთანდილს.

სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში ავთანდილი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სიმართლითა და კაცურკაცობით.

მასზე იტყვიან – „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესო!“

მაცხოვარი ბრძანებს: „რომელმან მაღიაროს წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა.“ ამიტომ, ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს პიროვნების ყველაზე აღმატებული ღირსება მის მიერ ჭეშმარიტების შეცნობა, ჭეშმარიტების დამოწმება და ჭეშმარიტების დაცვაა. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ავთანდილ ცუცქირიძე. ამიტომაც გვჯერა, უფალი მას მიანიჭებს ადგილს, სადაც მართალნი განისვენებენ.

დიდი ილია მართალი ბრძანებს:

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“.

რწმენითა და პატივისცემით, არჩილ ლომსიანიძე, თენგიზ ონიანი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

ოთხშაბათი
10 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ჯეტრინე**" **10.00, 03.16** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** ქართ.მხ/ფ. "**ჩვენი ეზო**" **14.07** დოკ/ფ " ჯეიმის საუკეთესო შობა" **15.30, 04.18** დოკ/ფ **16.30** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **18.30, 06.57** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** ქართ. ტ/სერ. "**დათა თუთაშხია**" **22.30** ტ/ს. ტ/სერ. "**მედიჩები ფლორენციის მბრძანებლები**" **23.30** მხ/ფ " **გმირი**" (ე.გარსია) **01.44** მხ/ფ "**მისი მსახურის და**" (დ.დურბინი) **05.20** მხ/ფ "**ლურჯი ჟასმინი**"

06.30 სერ. "**ფიცი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ბჟუილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **23.00** სერ. "**დიდი შესვენება**" **23.30** პრაიმ შოუ **(02.01.18 გ/ჩ) 01.30, 03.15, 05.00** მხ/ფ

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **17.10** სერ. "**მორჩილების სავანე**" **22.00** კომედი შოუ (ბესტი) **23.00, 00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.50** კურიერის დაიჯესტი

ტვ პირველი **8.00, 10.00, 14.00, 17.50, 20.00 0.00, 2.00,** მხ/ფ **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40, 22.30** უცხოეთის ამბები **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

GDS **08.00** ან/ფ "ავატარი 3" **09.00, 19.00** სერ. "**ჯაშუში 2**" **11.00** მხ/ფ "**სპარსეთის პრინცი-დროის ქვიშა**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 6**" **17.00** სერ. "**ჟუანტიკო**" **21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.30** მხ/ფ "**სიზმრებზე მონადირე**" **01.50** მხ/ფ "**მამაცი**" **04.00** მხ/ფ "**ჩრდილოეთის ქვეყანა**" **06.10** მხ/ფ "**უკიდურესი ზომები**"

იბერია **08.00** ანანდა **08.10** სისი **08.30**სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **13.30** ბენეფისი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 3.00** ფაბრიკა **17.30** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** დე ფაქტო **21.00** სერ. "**პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** ინტერვიუ ვანიჩკასთან **00.00** მხ/ფ

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 იანვრისთვის

აშშ დოლარი — 2.5895

ევრო — 3.1092

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5077

100 რუსული რუბლი — 4.54

ამინდის პროგნოზი 10 იანვრისთვის

28 დეკემბრიდან

ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოცი ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას, ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი



9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ბალენსიაგა მილიარდიანი ბრენდის სტატუსს უახლოვდება

დემნა გვასალია და ბალენსიაგა მსოფლიო მოდის სამყაროში სულ უფრო მაღალი მწვერვალების დასაპყრობად ემზადებიან.

რაც ბრენდის შემოქმედებით ხელმძღვანელად ქართველი დიზაინერი დაინიშნა, მისმა პოპულარობამ პიკს მიაღწია.

გასული წელი ბალენსიაგასთვის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ეტაპი აღმოჩნდა. მისი შემოქმედებითი ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორი ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გამოცემას ფინანსიალ თაიმსს ესაუბრნენ.

დემნა გვასალია და მისი ბალენსიაგა მილიარდიანი ბრენდის სტატუსს უახლოვდება.

გასული წლის ნოემბერში ბალენსიაგა დასახელდა ყველაზე მოთხოვნად ბრენდად. სპეციალისტებმა შეისწავლეს 12.000 ბრენდი, 65 მილიონი მყიდველი და 5 მილიონი პროდუქტი – ოფიციალური ინფორმაციით, გუჩის პირველი ადგილი ბალენსიაგამ დაიკავა და პლანეტის ყველაზე განხილვად და მოთხოვნად ბრენდად სწორედ ბალენსიაგა დასახელდა.

უცხოური გამოცემები ბალენსიაგას სტატიებს აქტიურად უძღვნიან. მოდის კრიტიკოსები წერენ, რას ნიშნავს გვასალიას ბალენსიაგა მოდის ისტორიისთვის, ახალი თაობისთვის და რატომ იყო გასული წელი ბალენსიაგასი. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ დემნამ ვენგი საერთოდ გააქრო ბალენსიაგას ისტორიიდან. ახლა არსებობს ნიკოლას ბალენსიაგა და არსებობს დემნას ბალენსიაგა:

– თითქოს ალექსანდრ ვენგის ბალენსიაგა საუკუნის წინ იყო, ეს ძირითადად დემნას სადებიუტო კოლექციის გამო. არ არის ადვილი ნიკოლა ჟესქიეღის ნაბიჯებს გაჰყვე, მაგრამ ბალენსიაგა სრულად დემნად გარდაიქმნა, თითქოს ვენგი ბალენსიაგაში არც არასდროს ყოფილა. დემნა და ბალენსიაგა მომენტის სრულყოფილი გაერთიანებაა. განა ალექსანდრ ვენგი არ იყიდებოდა, ან კომერციულად ცუდად მისდიოდა საქმე, ან კრიტიკოსები არ იღებდნენ, ალექსიც იყიდებოდა, მაგრამ ეს კვლავ აჩვენებს, თუ რამდენად წინ სწევს დემნა ბრენდს, როგორ გახდა გვასალიას ენა მოდაში გლობალურად მისაღები და როგორ შექმნა მომენტის ესთეტიკა.

ლევან სონღულაშვილი საუკეთესო ხელოვანად დასახელდა

ქართველი მხატვარი ლევან სონღულაშვილი საუკეთესო ხელოვანად დასახელდა.

ლევან სონღულაშვილი „არტისტადეის“ მიერ წლის მთავარ ხელოვანად დასახელდა და 2017 წლის მსოფლიო ხელოვანთა რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა.

მხატვარი უკვე წლებია ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისი ნახატები მსოფლიოს წამყვან აუქციონებზე სოლიდურ ფასად იყიდება. ლევანის ნამუშევრები ცნობილი ადამიანების კერძო კოლექციებშია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

იუმორი

ბავშვი უყურებს, თუ როგორ ჩააქვთ მურაბებით სავსე ქილები სარდაფში და ბოლოს ბებიას ეკითხება:

– სარდაფში რატომ ჩაგაქვთ?

– რომ მერე ზამთარში შევჭამოთ.

– კი მაგრამ, ზამთარი ხომ უკვე იყო?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, რა საშინელება იქნება მორზეს ანბანი ჩინურად.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, რას ნიშნავს „ბუდრუნენტის მოგვაჯირება“?

– არ ვიცი შვილო, და სად წაიკითხე?

– არსად. მე თვითონ მოვიგონე.

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– როგორი დიასახლისი გამოდგა შენი რძალი?

– აბა როგორ გითხრა... კვერცხებს კონსერვის გასახსნელით ხსნის.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ ცხენების გეშინია?

– არა!

– და იმათ შენი?

●●●

დილით კაცი მაგარ „პახმელიაზე“ იღვიძებს და საკუთარ თავს ეკითხება:

– გუშინ პარასკევი იყო, ხვალ შაბათია... ნეტა დღეს რა დღეა?

●●●

აფთიაქში ქალი გამყიდველს მიმართავს:

– აციდიუმაცეტილოსალიცილიუმი გააქვთ?

– ასპირინი გინდათ?

– ჰო, სულ მავიწყდება ამ წამლის სახელი...

●●●

თანასოფლელები შეხვდებიან ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ ხარ?

– გადასარევად! შენ?

– მე გადავირიე უკვე!

●●●

ექიმი ხანდაზმულ პაციენტს ეუბნება:

– ბატონო, თქვენ ბუასილი გაქვთ და ასევე სკლეროზიც.

– მადლობა, ბატონო ექიმო, მეშინოდა, ბუასილი არ მქონოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ალექსის სანჩესი რამდენიმე დღეში მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი გახდება



არსენალის ჩილელი ფორვარდი ალექსის სანჩესი მანჩესტერ სიტის ძალიან მიუახლოვდა და რამდენიმე დღეში ის, სავარაუდოდ, ოფიციალურად სიტის ფეხბურთელი გახდება. სანჩესის ყიდვა მანჩესტერ სიტის ზაფხულშიც სურდა, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა. ამჟერად ყველაფერი სხვაგვარად არის და არსენალი მზად არის, სანჩესი გაუშვას, რადგან 2018 წლის ზაფხულში ალექსისი თავისუფალი აგენტი ხდება და, თუ სანჩესი ზაფხულში წავიდა არსენალიდან, მაშინ ეს გუნდი ერთ ცენტსაც ვერ მიიღებს.

მანჩესტერ სიტი არსენალს 25 მილიონს გადაუხდის და უახლოეს პერიოდში სანჩესი მანჩესტერში ჩაფრინდება, სადაც კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ფირმინომ შესაძლოა 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღოს

ლივერპულმა შესაძლოა მეორე ბრაზილიელი ფეხბურთელიც დაკარგოს. რობერტო ფირმინოს 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება, რადგან მან ევერტონის ფეხბურთელ კოლგეიტს რასისტული შეურაცხყოფა მიაყენა. ერთ-ერთ ეპიზოდში კოლგეიტმა ფირმინოს ზურგში ხელი ჰკრა, რის გამოც მოედანზე ვითარება დაიძაბა და, კოლგეიტის თქმით, ფირმინომ მას ბინძური ზანგი უწოდა. ჯერჯერობით ინგლისის საფეხბურთო ფედერაცია ამ ეპიზოდს განიხილავს და გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებს.

არდა ტურანი, სავარაუდოდ, თურქეთში დაბრუნდება

ბარსელონის თურქი ნახევარმცველი არდა ტურანი, სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნდება და კარიერას თურქულ კლუბ ისტამბულში გააგრძელებს.

ისტამბულის პრეზიდენტმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ისინი ბარსელონასთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, თუმცა ჯერჯერობით შეთანხმება მიღწეული არ არის. ტურანს წელს ბარსელონის არცერთ შეხვედრაში არ მიუღია მონაწილეობა და ბარსელონა მის გაყიდვას აპირებს.

სტარიჯს ლივერპულიდან წასვლა სურს



ლივერპულის ფორვარდ დანიელ სტარიჯს ლივერპულიდან წასვლა სურს, რადგან წლევანდელ სეზონში ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს სტარიჯი კარიერას და შეიძლება მან რომელიმე კლუბს იჯარის წესით მიაკითხოს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სტარიჯს ესპანური გუნდები ეძახიან, მაგრამ ოფიციალურად ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არ დადასტურებულა.

მოამზადა ბექა გოგანაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ძველებური ცხვირზე დასამაგრებელი სათვალე; 2. ნიჩბოსანთა ნავის მოძრავი სკამი; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. ოლიმპიური და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ფრანგი ძიუდოისტი; 6. ბერიკაობის ერთ-ერთი მონაწილე, დევის ნიღაბი; 8. ამერიკული საიუველირო ფირმა; 11. ბროშში, ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 12. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. ქართული ბანკი; 17. ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 18. კასპიის ზღვის აუზის მდინარე საქართველოში.

თარაზულად: 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 5. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 7. ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების ბანკების გადარჩენა; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. დაბადების მოწმობა; 13. მონასტერი ყვარლის რაიონში; 14. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახელწოდება; 15. კურორტი რაჭაში; 19. პოეტი-მომღერალი უკრაინაში ძველად; 20. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 21. გაეროს გენერალური მდივანი; 22. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა